

საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ჩქაროსნული ავტომაგისტრალის
მოდერნიზაციის პროექტის F2 მონაკვეთი (ბორითი-ხევი)

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალასთან,
უსახელო დელეს კალაპოტში გამონამუშევარი ფუჭი ქანების #11
სანაყაროს პროექტის ფარგლებში წყალდიდობისა და დატბორვის
საწინააღმდეგო სამუშაოების (წყალგამტარი არხის მოწყობის)
სკრინინგის განაცხადი

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

2020

სარჩევი:

შესავალი	3
დაგეგმილი საქმიანობის გახორციელების ადგილი და მისი თავსებადობა	5
ალტერნატივების ანალიზი და უპირატესი ვარიანტის განსაზღვრა	7
გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საქმიანობის განხორციელების პროცესში	14
საკვლევი უბნის ბუნებრივი მახასიათებლები	18
ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების კვლევა	28
წყალდიდობისგან და დატბორვისგან დამცავი არხის მოწყობის საპროექტო დონისძიებები	55
ტრანსპორტირება	63
ტოპოგრაფიული გეგმა	66
გრძივი პროფილები	67

შესავალი

საერთაშორისო მნიშვნელობის E-60 ავტომაგისტრალის ბორითი-ხევის მონაკვეთის (F-2) სამშენებლო სამუშაოების განხორციელების პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების განთავსების მიზნით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფელ ვერტყვიჭალაში, უსახელო დელეს ტერიტორიაზე შერჩეული იქნა სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას გამონამუშევარი ფუჭი ქანების განსათავსებლად შესაბამისი ტერიტორია.

ფუჭი ქანების №11 სანაფაროს მოწყობის პროექტი ითვალისწინებს წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელებას. კერძოდ, დაგეგმილია სანაფაროს გასწვრივ სპეციალური წყალგამტარი არხის მოწყობა, რომელიც უზრუნველყოფს მაქსიმალური მოცულობის წყლის გაბარებას და მიმდებარე ტერიტორიის დაცვას წყალდიდობისგან და დატბორვისგან. პროექტს საფუძვლად დაედო შესაბამისი აზომვითი და საძიებო კალეგიოთი სამუშაოები. დამუშავდა არსებული ფონდური და ლიტერატურული მასალა საკვლევი უბნის რელიეფის, საინჟინრო-გეოლოგიური და პიდროლოგიური პირობების შესახებ. დამუშავებული მასალისა და საგელე კვლევის შედეგების ანალიზის საფუძველზე, ქვეყანაში მოქმედი სტანდარტებითა და ნორმებით, შემუშავდა წინამდებარე საინჟინრო გადაწყვეტა.

ჩატარებული გაანგარიშებების მიხედვით, სანაფაროზე განსათავსებელი გრუნტის მოცულობა შეადგენს 873431 მ³-ს. იმ შემთხვევაში თუ ავტომაგისტრალის მშენებლობის პროცესში არ წარმოიქმნება სანაფაროზე აღნიშნული მოცულობის გრუნტის განთავსების აუცილებლობა, სანაფაროზე განთავსდება ქანების უფრო მცირე მოცულობის განთავსებაც.

პროექტი ითვალისწინებს 800 მ.-მდე სიგრძის მონაკვეთზე დელეს კალაპოტის შეცვლას და მდინარის, როგორც წყალმცირობის, ასევე წყალდიდობის პერიოდების ნაკადის გატარებას ბეტონის მასალის, ტრაქეციული განივი კვეთის მქონე არხის მეშვეობით. საპროექტო ნაგებობა გაანგარიშებულია 1 %-იანი უზრუნველყოფის საანგარიშო ხარჯზე.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 9.8 პუნქტისა და მეშვიდე მუხლის შესაბამისად, წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას. აღნიშნულის გათვალისწინებით შემუშავებული იქნა წინამდებარე სკრინინგის განაცხადი.

ცხრილი I: ზოგადი ცნობები საქმიანობის განმახორციელებლის შესახებ

განმახორციელებელი:	საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
იურიდიული მისამართი:	აღ. ყაზბეგის გამზ. #12, თბილისი, საქართველო
საქმიანობის განმახორციელების მისამართი:	ხარაგაულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ვერტყვიჭალა
საქმიანობის სახე:	წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოები

თავმჯდომარე:	ირაკლი ქარსელაძე
საკონტაქტო ტელეფონი:	+995322350508
საკონსულტაციო ფირმა:	გვს პიდროტექნიკოსი
საკონტაქტო პირი:	გია სოფაძე
საკონტაქტო ტელეფონი:	+995599939209

დაგეგმილი საქმიანობის გახორციელების ადგილი და მისი თავსებადობა


დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად ტერიტორიის შერჩევა და წყალგამტარი არხის მოწყობის საინჟინრო გადაწყვეტა მოხდა ადგილობრივი ბუნებრივი პირობების გათვალისწინებით. სამუშაოები განხორციელდება ადგილის რელიეფის მახასიათებლების მიხედვით.

ცხრილი 2: გეოგრაფიული კოორდინატები

#	POINT_X	POINT_Y	#	POINT_X	POINT_Y
1	363203.5589	4664090.187	25	363293.8591	4663415.803
2	363205.664	4664075.668	26	363226.1144	4663366.161
3	363213.9647	4664070.504	27	363192.0251	4663366.28
4	363231.4963	4664063.451	28	363194.6258	4663415.555
5	363263.9383	4664006.272	29	363221.8021	4663467.755
6	363258.1794	4663943.171	30	363200.7289	4663508.99
7	363251.0361	4663931.541	31	363181.4621	4663508.377
8	363273.566	4663933.901	32	363141.0444	4663525.96
9	363258.8573	4663910.717	33	363096.1729	4663564.184
10	363244.5732	4663908.244	34	363085.078	4663587.365
11	363213.2198	4663821.196	35	363044.9069	4663615.847
12	363143.8628	4663738.679	36	363029.2642	4663646.576
13	363142.5528	4663724.101	37	363028.3017	4663690.841
14	363163.3586	4663654.64	38	363044.6693	4663715.446
15	363210.3868	4663640.76	39	363032.4411	4663763.217
16	363243.098	4663619.034	40	363031.5608	4663820.976
17	363267.5607	4663620.979	41	363082.8418	4663865.637
18	363275.7994	4663604.435	42	363134.3641	4663881.76
19	363289.9801	4663584.921	43	363143.2837	4663918.153
20	363306.5973	4663549.174	44	363167.8047	4663966.632
21	363324.6102	4663535.186	45	363186.6655	4664001.163
22	363316.4776	4663524.227	46	363187.8121	4664025.835
23	363320.2407	4663489.998	47	363173.3187	4664051.562
24	363299.2222	4663439.923	48	363170.9257	4664061.151

შერჩევის ტერიტორიის საერთო ფართობი შეადგენს 88677 მ²-ს.

ნახაზი 1: სანაფაროს აღგილდებარეობა



ალტერნატივების ანალიზი და უპირატესი ვარიანტის განსაზღვრა

ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას გზის ბორითი-ხევის (ლოტი F2) მონაკვეთის პროექტისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას წარმოიქმნება ფუჭის ქანების განსაკუთრებით დიდი მოცულობა - სულ 2,241,000 მ³:

- პორტალები - 161,000 მ³
- გვირაბები - 935,000 მ³
- კვანძები და ადგილობრივი გზები - 135,000 მ³
- სხვა მიწის სამუშაოები - 1,010,000 მ³

ვაკისების მოსაწყობად გამოყენებული იქნება მიახლოებით 327,959 მ³. სტატიკური ბალანსის საორიენტაციო მოცულობა კი დაახ. 1,913,050 მ³ -ს შეადგენს.

სანაყაროების მოსაწყობად შესაბამისი ტერიტორიის მოძიების მიზნით ალტერნატივების მოძიება და შედარება განხორციელდა ორჯერ. თავდაპირველად, პროექტის გზე-ს ანგარიშის მომზადების ეტაპზე, ხოლო მოგვიანებით უშუალოდ სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კონტრაქტორი კომპანიის მიერ ვინაიდან გზე-ს ანგარიშის მიხედვით კონტრაქტორს დაეკისრა დამატებითი სანაყაროს მოძიების ვალდებულება.

ჯერ კიდევ სამშენებლო პროექტისა და გზე-ს ანგარიშის მომზადების ეტაპზე მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ფუჭი ქანების განსათავსებლად საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ შერჩეული იქნა 3 სხვადასხვა ალტერნატივა.

ნახაზი 2: გზე-ს ანგარიშის მომზადების ეტაპზე განხილული ალტერნატივები



შესწავლის პროცესში დადგინდა, რომ მოქმედი E60 ავტომაგისტრალის ჩრდილოეთით მდებარე 2 ალტერნატივა არ აკმაყოფილებდა გარემოსდაცვით მოთხოვნებს. კერძოდ, დაკავშირებული იყო განსაკუთრებით განსაკუთრებით დიდი ფართობის ტყის გაჩეხვასთან და შესაბამისი პაბიტატების განადგურებასთან. ასევე, აღნიშნული ტერიტორიები ტოპოგრაფიული და პიდროლოგიური თვალსაზრისითაც გახდათ მიუღებელი. რაც შეეხება სოფ. ბორითის სამხრეთით, სოფ. კვერევისა და სოფ. ამაშუკეთის მიმდებარედ არსებულ მე-3 ალტერნატივულ ტერიტორიას, ფართობიდან გამომდინარე დანარჩენ ორ ალტერნატივასთან შედარებით მისაღებ ვარიანტად იქნა მიჩნეული, თუმცა პროექტსა და გზა-ს დოკუმენტში დაზუსტდა, რომ მოცემულ ტერიტორიას გააჩნდა რიგი ნაკლოვანებები (ადგილობრივ მოსახლეობასთან სიახლოვე, მისასვლელი გზები, არსებული ვეგეტაცია და პაბიტატები, მანძილი მოქმედი ავტომაგისტრალიდან და სხვა.) და შესაბამისად, ტენდერის საფუძველზე შერჩეულ სამშენებლო კომპანიას დაეკისრა ფუჭი ქანების განსათავსებლად ახალი ტერიტორიის შერჩევის პასუხისმგებლობა. 2019 წლის 16 მაისს პროექტის განმახორციელებელი სამშენებლო კომპანიის - შპს ჰუნანის გზებისა და ხიდების სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლებმა გამართეს შეხვედრა ადგილობრივ მოსახლეობასთან და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან სააგაროს მე-3 ალტერნატივის განხილვის მიზნით. შეხვედრაზე სოფ. ბორითის, სოფ. კვერევის, სოფ. ამაშუკეთის მოსახლეობამ გამოთქვა უქმაყოფილება შერჩეულ ტერიტორიაზე ფუჭი ქანების განთავსების საკითხთან დაკავშირებით, ვინაიდან მისასვლელი 7,3 კმ. სიგრძის გზა გადის ზემოაღნიშნული სოფლების მჭიდროდ დასახლებულ მონაკვეთებზე და რეგულარული ტრანსპორტის საფრთხეს შექმნის რიგი გარემოსდაცვითი პარამეტრების თვალსაზრისით.

ნახაზი 3: შეხვედრა სოფ. კვერევისა და სოფ. ამაშუკეთის მოსახლეობასთან



აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიამ დაიწყო სხვა ადგილების შერჩევის პროცესი. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მდინარის ვიწრო ხეობაში, ქანების განსათავსებელი ადგილების შერჩევა წარმოადგენს განსაკუთრებულ სირთულეს. შერჩეული იქნა რამდენიმე მცირე ფართობის ტერიტორია (სააგარო №6, №7, №9), რომლებზეც ჯამურად მხოლოდ 285000 მ³ ქანის განთავსება არის შესაძლებელი.

შესაბამისად, სააგაროს მოსაწყობად საჭირო ტერიტორიის მოსაძიებლად სამშენებლო სამუშაოების განმახორციელებელი კონტრაქტორი კომპანიის მიერ ჩატარდა ადგილზე

ვითარების კომპლექსური შესწავლა. შეფასდა არაერთი ტერიტორია. გვირაბებთან და ფუჭი ქანების წარმოქმნის სხვა ობიექტებთან ახლომდებარე (იგულისხმება ფართობები, რომლებიც ისეთ მანძილზე მდებარეობს, რომლის დაფარვა საავტომობილო ტრანსპორტით ნაყარის გადაზიდვის შემთხვევაში არ იქონიებს დამატებით ზეგავლენას გარემოზე, ასევე გამართლებული იქნება ფინანსური, დროის, სოციალური და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით) ფართობებიდან შეირჩა №11 სანაყარო სოფ. ვერტყვიჭალას მიმდებარედ, სადაც სანაყაროს მოწყობა საჭიროებს წყალდიდობისა და დატბორვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელებას.

მოცემული ტერიტორია ყველაზე ნაკლებად სენსიტიურია გარემოსა (განსაკუთრებით წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე) და მოსახლეობაზე ზემოქმედების კუთხით, რაც დაზუსტდა კუმულაციური ეფექტის განსაზღვრის მიზნით ჩატარებული ალტერნატივების ანალიზის საფუძველზე. აღნიშნული ტერიტორია მდებარეობს საპროექტო მონაკვეთის ცენტრალური ნაწილისა და განსაკუთრებით დიდი მოცულობის ფუჭი ქანების წარმოქმნის ობიექტების უშუალო სიახლოებებს. როგორც უშუალოდ სანაყაროს ტერიტორია, ასევე მისასვლელი გზები არ მდებარეობს საცხოვრებელი სახლებისა თუ სხვა სახის სენსიტიური ობიექტების არეალში, რაც აღნიშნული ალტერნატივის ერთ-ერთ უპირატესობას წარმოადგენს.

№11 სანაყაროსათვის შერჩეული ტერიტორიის უპირატესობის დადგენა განხორციელდა სხვა ალტერნატივებთან შედარებითი ანალიზის საფუძველზე. შედარებითი ანალიზისათვის შერჩეული იქნა სამი სხვადასხვა ალტერნატივა:

- ალტერნატივა 1: სანაყარო სოფ. ამაშუაეთის მიმდებარედ;
- ალტერნატივა 2: №11 სანაყარო სოფ. ვერტყვიჭალას მიმდებარედ;
- ალტერნატივა 3: მცირე ზომის სანაყაროები საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ;

(ალტერნატივა 3-ის შემთხვევაში გასათვალისწინებელია გარემოება, რომ ჯამურად 870000 მ³ მოცულობის ფუჭი ქანის განსათვალისებლად საპროექტო მონაკვეთის მიმდებარედ მცირე ზომის სანაყაროების მოძიება პრაქტიკულად არ არის შესაძლებელი).

ალტერნატივები შეფასება მოხდა ხარისხობრივი შეფასებების შედეგების რაოდენობრივები გადაყვანის მეთოდოლოგიის მიხედვით. შეფასების მიზნით გამოიყო და შეფასდა 7 ძირითადი კომპონენტი, ხოლო თითოეულ კომპონენტს მიენიჭა რანჟირების საკუთარი მაჩვენებელი:

ცხრილი 3: რანჟირების მაჩვენებლები

#	კომპონენტები	რანჟირების მაჩვენებელი
1	ჰარის ხარისხის ცვლილება	20
2	ხმური და ვიბრაცია	15
3	ზემოქმედება ნიადაგზე	5
4	ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე და ეკოლოგიაზე	20
5	ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილება	5
6	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე	20
7	განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯები	15
		100

შეფასებისთვის შეირჩა საკვანძო კითხვები დახურული პასუხებით (კი/არა) და განისაზღვრა შესაბამისი ქულა (კომპონენტის „წონა“):

ზემოქმედება არ ხდება ან უგულგებელყოფადია: 0

ძალიან დაბალი ზემოქმედება (VL): 0.3

დაბალი ზემოქმედება (L): 0.5

საშუალო ზემოქმედება (M): 1

მაღალი ზემოქმედება (H): 1.5

თითოეული კრიტერიუმისთვის ქულა განისაზღვრა კომპონენტის წონის კრიტერიუმის ქულაზე გამრავლებით. ალტერნატივის საბოლოო ქულა კი ცალკეული კომპონენტის ქულების დაჯამებით იქნა შეფასებული.

მოცემული მიდგომის საფუძველზე ალტერნატივების შეფასება მოცემულია ცხრილებში:

კრიტერიუმი	ერთეული	კრიტერიუმები და ქულები										
		მიუღებელი 5	ყველაზე უარესი 4	ძალიან ცუდი 3	ცუდი 2	არასასურველი 1	ნორმალური 0	მისაღები -1	საშუალო -2	კარგი -3	ძალიან კარგი -4	საუკეთესო -5
გარემოს ხარისხი												
ზემოქმედება ლანდშაფტზე	რეიტინგი	მიუღებელი	ყველაზე უარესი	ძალიან ცუდი	ცუდი	არასასურველი	ნორმალური	მისაღები	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი	საუკეთესო
ჰაერის ხარისხი	ჯამური მანძილი წარმოქმნის ობიექტებიდან (კმ)	> 35	35 - 25	25 - 20	16 - 20	14 - 16	12 - 14	10 - 12	8 - 10	6 - 8	4 - 6	< 4
ხმაური და ვიბრაცია	კმ - სოფლების გავლით	> 22	20 - 22	18 - 20	16 - 18	14 - 16	12 - 14	10 - 12	8 - 10	6 - 8	4 - 6	< 4
ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებასა და ეკოლოგიაზე	ტყეზე ზემოქმედ ება (ჰა.)	> 20	18 - 20	16 - 18	14 - 16	12 - 14	10 - 12	8 - 10	6 - 8	4- 6	2 - 4	< 2
სოც-ეკონომიკური ასპექტები												
ზემოქმედება ს/ს მიწებზე	რეიტინგი	მიუღებელი	ყველაზე უარესი	ძალიან ცუდი	ცუდი	არასასურველი	ნორმალური	მისაღები	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი	საუკეთესო
ნეგატიური გავლენა ეკონომიკურ სარგებელზე	რეიტინგი	მიუღებელი	ყველაზე უარესი	ძალიან ცუდი	ცუდი	არასასურველი	ნორმალური	მისაღები	საშუალო	კარგი	ძალიან კარგი	საუკეთესო
ქანების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯები (ტრანსპორტირება, დრო, დამცავი ინფრასტრუქტურის მოწყობა და სხვ.)	ლარი/მ³	> 5	4.5-5	4-4.5	3.5-4	3-3.5	2.5-3	2-2.5	1.5-2	1 - 1.5	0.5-1	< 0.5

ცხრილი 5: განხილული ალტერნატივების შეფასება

ანალიზი	ალტერნატივა 1			ალტერნატივა 2			ალტერნატივა 3		
	კრიტერიუმის ქულა	წონა	ქულა	კრიტერიუმის ქულა	წონა	ქულა	კრიტერიუმის ქულა	წონა	ქულა
გარემოს ხარისხი			4			3			6
ზემოქმედება ლანდშაფტზე	1	1	1	2	1	2	2	1	2
ჰარის ხარისხი	3	1	3	2	1	2	3	1	3
ხმაური და ვიბრაცია	1	1	1	-1	1	-1	1	1	1
ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებასა და ეკოლოგიაზე	-1	1	-1	-1	1	-1	0	1	0
სოც-ეკონომიკური ასპექტები			-0.1			-0.3			1.3
ზემოქმედება ს/ს მიწებზე	-2	0.3	-0.6	-1	0.3	-0.3	1	0.3	0.3
ნეგატიური გავლენა ეკონომიკურ	1	0.5	0.5	0	1	0	0	1	0
მიწის იჯარა და განსახლება	-2	0.5	-1	-1	1	1	-1	1	1
განთავსების ხარჯები	1	1	1	-1	1	-1	0	1	0
ჯამური ქულა			3.9			2.7			7.3

ცხრილი 6: ალტერნატივების შედარების შედეგები

კომპონენტი	ალტერნატივა 1			ალტერნატივა 2			ალტერნატივა 3		
	რანჟირება	ქულა	ქულის მაჩვენებელი	რანჟირება	ქულა	ქულის მაჩვენებელი	რანჟირება	ქულა	ქულის მაჩვენებელი
ადგილობრივი ჰარის	20	3	60	20	3	60	20	3	60
ხმაური და ვიბრაცია	15	1	15	15	-1	-15	15	1	15
ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე	20	-1	-20	20	-1	-20	20	0	0
ზემოქმედება ნიადაგზე	5	-0.6	-3	5	-0.3	-1.5	5	0.3	1.5
ლანდშაფტის ვიზუალური ზემოქმედება	5	1	5	5	2	10	5	2	10
სოციალურ-ეკონომიკური	20	-0.25	-5	20	0.5	10	20	0.5	10
განთავსების ხარჯები	15	1	15	15	-1	-15	15	0	0
ჯამი		67			28.5			96.5	

როგორც ალტერნატივების შედარებამ გვიჩვენა. რომ ყველაზე დაბალი ქულა აქვს ალტერნატივა 2-ს (№11 სანაფარო). შეფასების შედეგად ყველაზე დაბალი ჯამური ქულის მქონე ალტერნატივა გარემოზე ზემოქმედების, სოციალურ-ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მისაღებად იქნა მიჩნეული.

სრულყოფილი ანალიზის გასაკეთებლად, დამატებით განხორციელდა 870 000 მ³ ფუჭი ქანის განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯების გაანგარიშება. კალკულაცია განხორციელდა სანაფარომდე მისასვლელი მანძილის, ტრანსპორტირების, შესაბამისი შრომის ანაზღაურების, კერძო ნაკვეთების იჯარისა და ნარგავების საკომპენსაციო თანხების, სატრანსპორტო და დამცავი ინფრასტრუქტურის მოწყობის ხარჯების გათვალისწინებით.

ცხრილი 7: ფუჭი ქანების განთავსებასთან დაკავშირებული დანახარჯები

	ქანების განთავსებასთან დაკავშირებული ხარჯები (1 მ ³)
ალტერნატივა 1	3.45 ლარი
ალტერნატივა 2	2.46 ლარი
ალტერნატივა 3	2.95 ლარი

ფინანსური პარამეტრების მიხედვითაც, ალტერნატივა 2-ის (№11 სანაფარო) შემთხვევაში ქანების განთავსებასთან დაკავშირებული დანახარჯების მოცულობა არის სხვა ალტერნატივებთან შედარებით მცირე.

საწყის ეტაპზე, უშალგამტარი არხის მოწყობის ალტერნატივად განხილული იქნა წყალგამტარი გვირაბის მოწყობა, თუმცა პირველადი კვლევის შედეგად დადგინდა, რომ გარემოსდაცვითი ოვალსაზრისით გამართლებული იქნებოდა განივი კეთის წყალგამტარი არხის მოწყობა, ვინაიდან გვირაბი ვერ უზრუნველყოფდა იქტიოფაუნისათვის შესაბამისი პირობების შექმნას, ასევე გვირაბი ვერ შეძლებდა წყალმოვარდნის პირობებში ჩამოტანილი ხე-ტყის გატარებას და წარმოქმნიდა დამატებით რისკებს.

რაც შეეხება წყალგამტარი არხის მოწყობის ალტერნატივლ ვარიანტებს, უპირატესობა მიენიჭა ბეტონით მოპირკეთებული ტრაპეციული განივი კვეთის წყალგამტარი არხის მოწყობას.

წყალგამტარ არხს გააჩნია საკმაოდ დიდი ქანობი და შესაბამისად მასში წყლის დინების სიჩქარე საკმაოდ მაღალია. შესაბამისად, მსგავს მოცემულობაში არამოპირკეთებული, გრუნტის კალაპოტიანი არხის, ან სხვა სახის არამტკიცე მასალით მოპირკეთებული არხის გამოყენება არ იქნებოდა გამართლებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ალტერნატივებს შორის შეირჩა ბეტონით მოპირკეთებული არხის მოწყობა, რადგან ბეტონით მოპირკეთება უძლებს წყლის დინების მაღალ სიჩქარეებს. არხს გააჩნია ტრაპეციული განივი კვეთი, რადგან ტრაპეციული არხი მეტად სამედოა ექსპლუატაციაში. ალბათობა, რომ ტრაპეციული კვეთის არხში რამე გაიჭედება (მაგალითად წყლის ნაკადის მიერ წამოღებული ხე) უფრო ნაკლებია ვიდრე მართკუთხა კვეთის არხის შემთხვევაში.

ტრაპეციულ არხს, იდენტური წყალგამტარობის მართვულხა არხთან შედარებით აქვს ფსკერის მცირე სიგანე. შესაბამისად, მასში მცირე (წყალმცირობის) ხარჯების გადინების შემთხვევაში წყლის დონის სათანადო სიმაღლე იქნება შენარჩუნებული რაც აუცილებელია არხში იქტიოფაუნისათვის შესაბამისი პირობების უზრუნველსაყოფად.

გარემოზე შესაძლო ზემოქმედება საქმიანობის განხორციელების პროცესში

დაგეგმილი საქმიანობის გახორციელების ადგილი არ მდებარეობს სიახლოვეს:

დაცულ ტერიტორიებთან;
ჭარბტენიან ტერიტორიებთან;
შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;
პროექტი ხორციელდება ხოფლის გარეთ;
კულტურული ძეგლთან;

შერჩეული ტერიტორიის ნაწილი (35 800 გ²) მდებარეობს სახელმწიფო ტყის ფონდის ფარგლებში, თუმცა აღნიშნული ტერიტორია არ წარმოადგენს ტყის მდიდროდ დაფარულ ტერიტორიას, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. პროექტის შეთანხმების შემდეგ, ტაქსაციისა და კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებული პროცედურების მიხედვით, მოხდება შესაბამის უფლებამოსილ უწყებასთან - სხივ ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან აღნიშნული ფართობის ტყის ფონდიდან ამორიცხვის პროცესის ინიცირება.

დაგეგმილი საქმიანობის გახორციელების ადგილი არ არის სიახლოვეს სხვა სახის სენიტურ ობიექტებთან;

საქმიანობის მასშტაბი შეზღუდულია - საპროექტო სამუშაოები შემოიფარგლება მარტივი კონსტრუქციის ხაგებობის მოწყობით.

პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების გახორციელების შედეგად, ობიექტზე უარყოფითი კულტურული უძრავი მუქმედება არ არის მოსალოდნელი. სამშენებლო მოვდანზე, პროექტით გათვალისწინებულის გარდა, არ იქნება შეტანილი არავითარი სხვა სახის სამშენებლო მასალა.

ბუნებრივი რესურსებიდან უშუალო შეხება შესაძლებელია იყოს მდინარის წყალთან წყალგამტარი არხის კონსტრუქციის მშენებლობისა და წყლის არხში გაშვების პროცესში. წყლის დაბინძურების ძირითადი რისკები უკავშირდება გაუთვალისწინებელ შემთხვევებს: ნარჩენების არასწორი მართვა, ტექნიკისა და სატრანსპორტო საშუალებების გაუმართაობის გამო ნავთობპროდუქტების დაღვრა და სხვა, რის ასაცილებლად სამშენებლო მოვდანზე დაწესდება შესაბამისი კონტროლი.

სამშენებლო სამუშაოები ჩატარდება წყალმცირობის პერიოდში, რაც იძლევა ტექნიკის წყალში დგომის გარეშე ექსპლუატაციის საშუალებას.

არხის სამშენებლო სამუშაოების ჩატარების პერიოდში წარმოიქნება მცირე მოცულობის სხვადასხვა ტიპის ნარჩენი. ობიექტზე ნარჩენების მართვა განახორციელდება მოქმედი კანონმდებლობის დაცვით. წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვება მოხდება კონტენინგრული სისტემის გამოყენებით. უზრუნველყოფილი იქნება სახიფათო, არასახიფათო და საყოფაცხოვრებო ნარჩენების განცალკევებული შეგროვება. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება მოხდება შესაბამის კონტენინგებში. ტერიტორიიდან საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება რეგულარულად, ხელშეკრულების საფუძველზე ხარაგაულის დასუფთავების სამსახურის მიერ. სახიფათო ნარჩენების დროებითი დასაწყობება მოხდება ტერიტორიაზე ცალკე გამოყოფილ სათავსოში. სამუშაოების დასრულების შემდგომ

სახიფათო ნარჩენები ტრანსპორტირების და შემდეგი გაუგრძელელყოფის მიზნით, გადაეცემა ხელშეკრულების საფუძველზე შპს „სანიტარს“ (შესაბამისი ნებართვების მფლობელ კომპანიას).

სამშენებლო და სატრასპორტო ტექნიკას გავლილი ექნება შესაბამისი ტექნიკური მოხდეს მიღამოს დაბინძურება ზეთებითა და საპონი საშუალებებით. ობიექტზე განთავსდება თხევადი სახიფათო ნივთიერებების დაღვრაზე რეაგირების საშუალებები (ე.წ. "Spill Kit").

გამოყოფილი იქნება დროებითი დასაწყობების დაცული ადგილები. სამეურნეო-ფეხალური წყლები შეგროვდება საასენიზაციო ორმოში. ნარჩენი წყლების გატანა განხორციელდება რეგულარულად ლიცენზირებული ქვეკონტრაქტორის შპს „სანიტარის“ მიერ. სამუშაოების დასრულების შემდგომ ტერიტორიები მოწესრიგდება და ადდგება სანიტარული მდგომარეობა. შესაბამისად, რაიმე სახის უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება გარემოზე მოსალოდნელი არ არის.

გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორებიდან აღსანიშნავია ატმოსფერული ჰაერის უმნიშვნელო დაბინძურება და სამშენებლო ტექნიკის ხმაური.

ატმოსფერულ ჰაერზე ზეგავლენა მოსალოდნელია მოძრავი წყაროებიდან, კერძოდ გამოყენებული ტექნიკის ძრავების მუშაობით გამოწვეული გამონაბოლქვებით, რაც არსებით ზემოქმედებას არ მოახდენს ფონურ მდგომარეობაზე;

არსებულ პირობებში დაგეგმილი სამუშაოები მნიშვნელოვნად ვერ შეცვლის ფონურ მდგომარეობას. პროექტის განხორციელებისას ემისიების სტაციონალური ობიექტები გამოყენებული არ იქნება. ზემოქმედების ჰაერში CO₂-ის გაფრქვევა მოხდება, სამშენებლო ტექნიკით, რომელიც იმუშავებს მონაცემებით.

ასევე, ამტვერება მოხდება ინერტული მასალების ტრანსპორტირების პროცესში. სამუშაოები წარიმართება მხოლოდ შეზღუდული დროის განმავლობაში და მოხდება გრუნტის გზის რეგულარული წყლით დანამდე. ასევე, მისასვლელ გზაზე განხორციელდება სიჩქარის შეზღუდვა 10 კმ/სთ-მდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მშენებლობის ეტაპი ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ნებატიურ ზემოქმედებას ვერ მოახდენს.

საპროექტო ტერიტორიაზე ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა სამშენებლო ტექნიკა. სამშენებლო მასშტაბებიდან გამომდინარე, შეიძლება ჩაითვალოს, რომ სამშენებლო ტექნიკის გამოყენების ინტენსივობა დაბალია, შესაბამისად, დაბალია ხმაურისა და ვიბრაციის დონეები. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ ხმაურის წყაროები შეწყდება. ნაპირსამაგრი სამუშაოების ჩატარების პერიოდში აღნიშნულ ტერიტორიაზე არ იქმნება სამშენებლო ბანაკი. სამუშაოების განხორციელებისას გამოყენებული ტექნიკა, სამუშაო დღის დასრულების შემდეგ დაუბრუნდება შერჩეული დისლოკაციის ადგილს.

დაგეგმილი წყალგამტარი არხის კონსტრუქციის აგების პროცესში და ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ, საქმიანობასთან დაკავშირებული ავარიის ან/და კატასტროფის რისკი არ არსებობს. პირიქით, აღნიშნული დონისძიება განაპირობებს მიმდებარე ტერიტორიების დაცვას წყლისმიერი აგრესიისგან.

პროექტით გათვალისწინებული დონისძიება გახლავთ გარემოსდაცვითი ფუნქციის მატარებელი.

სამუშაო ზონის სიახლოეს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები წარმოდგენილი არ არის. საპროექტო ტერიტორიის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით არქეოლოგიური ძეგლების გამოვლენის აღმატებობა პრაქტიკულად არ არსებობს. სამშენებლო ტერიტორიაზე არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის გამოვლინების შემთხვევაში, „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს

კანონის მე-10 მუხლის თანახმად შეწყდება სამუშაოები და შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობება კულტურისა და ძეგლთა დაცვის შესაბამის სამსახურს.

მდინარეზე საპროექტო სამუშაოებს არ გააჩნია ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი. საპროექტო სამუშაოების გახორციელებისას არ ხდება გარემოზე მაღალი ხარისხისა და კომპლექსური ზემოქმედება.

დაგეგმილი სამუშაოები მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს ვიზუალურ-ლანდშაფტურ მდგომარეობაზე.

საერთო ჯამში კუმულაციური ზემოქმედების მნიშვნელობა იქნება დაბალი. პროექტის დასრულების შემოდგომა, ზემოთ განხილული კუმულაციური ზემოქმედების რისკი აღარ იარსებებს.

ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკისა და მოცულობების გათვალისწინებით, პროექტი არ ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მომატებული რისკებით. ამ მხრივ საქმიანობა არ განსხვავდება მსგავი ინფრასტრუქტურული პროექტებისგან. სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში მუშა პერსონალის ჯანმრთელობაზე და უსაფრთხოების რისკები შეიძლება უკავშირდებოდეს დაწესებული რეგლამენტის დარღვევას (მაგალითად, სატრანსპორტო საშუალების ან/და ტექნიკის არასწორი მართვა, მუშაობა უსაფრთხოების მოთხოვნების უგულგებელყოფით და ა.შ.).


სამუშაოების მიმდინარეობას გააკონტროლებს ზედამხედველი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უსაფრთხოების ნორმების შესრულებაზე. სამუშაო უბანი იქნება შემოზღუდული და მაქსიმალურად დაცული გარეშე პირების მოხვედრისაგან.

დაგეგმილი საპროექტო საქმიანობა არ ითვალისწინებს გარემოზე სხვა მნიშვნელოვან ზემოქმედებას. გათვალისწინებული არ არის დიდი რაოდენობით ხანძარსაშიში, ფერქებადსაშიში და მდინარის პოტენციურად დამაბინძურებელი თხევადი ნივთიერებების შენახვა-გამოყენება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფების რისკები მოსალოდნელი არ არის.

მშენებლობაზე ძირითადად დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა, რაც თავის მხრივ დადებით გავლენას მოახდენს სოფლის მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკურ მდგომარეობაზე.


პირდაპირი დაშორებით უახლოესი დასახლებული სახლები მდებარეობს შერჩეული ტერიტორიის უკიდურესი სამხრეთ წერტილიდან 230 მ. და 265 მ. დაშორებით, თუმცა აღნიშნული სახლები განთავსებულია უსახელო დელეს სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ქედის გადაღმა, ხოლო ტერიტორიის სამხრეთით მდებარე (დაშორება - 290 მ.) უძრავი ქონებით სარგებლობს კომპანია საიჯარო ხელშეკრულებების საფუძველზე (იხ. ნახაზი 4.).

ნახაზი 4: დაშორება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან




შერჩეული ტერიტორიიდან უახლოესი დაცული ტერიტორია – ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი დაშორებულია 16.4 კმ-ით (იხ. ნახაზი 5.). შესაბამისად, რაიმე სახის უარყოფითი გავლენა აღნიშნულ დაცულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი არ არის.

ნახაზი 5: დაშორება უახლოესი დაცული ტერიტორიებიდან



შერჩეული ტერიტორიდან უახლოესი კულტურის ძეგლი – სოფ. საქასრიაში მდებარე ღვთისმშობლის სახელობის ახალი ტაძარი მდებარეობს 4.2 კმ. დაშორებით. ბორითის სავანის ეკლესია დაშორებულია 5.7 კმ.-ით, ხოლო უბისის მონასტერი 9.7 კმ.-ით. დაშორებიდან გამომდინარე, რაიმე სახის უარყოფითი გავლენა აღნიშნულ ძეგლებზე მოსალოდნელი არ არის.

ნახაზი 6: დაშორება უახლოესი ისტორიულ-კულტურულ ძეგლებიდან



საკვლევი უბნის ბუნებრივი მახასიათებლები

უსახელო მდინარე ჰიდროლოგიური დახასიათება

სოფელ ვერტყვიჭალაში არსებული უსახელო მდინარე სათავეს იდებს იმერეთის მაღლობზე სოფ. ჩელოვანის დასავლეთით 2,8 კმ-ში 1020 მეტრის სიმაღლეზე და ერთვის

მდ. მირულას მარჯვენა მხრიდან სოფ. ვერტყვიჭალას ტერიტორიაზე. მდინარის სიგრძე სათავიდან ფუჭი ქანების საპროექტო სანაყარომდე 15,3 კმ, საერთო ვარდნა 656 მეტრი, საშუალო ქანობი 42,9%, წყალშემკრები აუზის ფართობი კი 27,8 კმ²-ია. ამ მონაკვეთზე მდინარეს ერთვის პირველი რიგის 5 მირითადი შენაკადი ჯამური სიგრძით 12,8 კმ. მდინარის აუზის გორაკ-ბორცვიანი რელიეფი სასიათდება გლუვი მოხაზულობებით.

აუზის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობას იღებენ ძირული კრისტალური მასივის გრანიტები და გნეისები, გვევდება ასევე კირქვები. ძირითადი ქანები გადაფარულია ყავისფერი ნიადაგებით. აუზის დაახლოებით 97% დაკავებულია ხშირი ფოთლოვანი ტყით.

მდინარის ხეობა ძირითადად V-ს მაგვარია. ხეობის ფერდობები ერწყმის მიმდებარე ქედების კალთებს. მდინარეს ტერასები გააჩნია მხოლოდ შესართავის მიდამოებში. მდინარის ჭალა სუსტად არის განვითარებული. მდინარის კალაპოტი ზომიერად კლაკნილი და ძირითადად დაუტოტავია. მდინარის ზემო დინებაში კალაპოტი ქვიანია, რაც ნაკადს მთის მდინარის ხასიათს ანიჭებს.

მდინარე საზრდოობს თოვლის, წვიმის და გრუნტის წყლებით. მისი წყლიანობის რეჟიმი ხასიათდება გაზაფხულის წყალდიდობით, რომელსაც ხშირად ემატება წვიმებით გამოწვეული წყალმოვარდნები, ზაფხულის არამდგრადი წყალმცირობით და შემოდგომა-ზამთრის წყალმოვარდნებით, რაც გამოწვეულია წვიმებით და პაურის უეცარი დათბობით.

მდინარე სამეურნეო საქმიანობაში არ გამოიყენება. სანაყაროს პროექტირების მიზნებისათვის, კველაზე მნიშვნელოვანია მდინარის მაქსიმალური ხარჯების განსაზღვრა, რადგან ამ მაქსიმალურ ხარჯზე უნდა გაანგარიშდეს სანაყაროდან მდინარის ნაკადის მოსაცილებლად მოსაწყობი კალაპოტი.

წყლის ძალის მაღალური ხარჯები

სოფელ ვერტეგიჭალაში არსებული უსახელო მდინარე პიდროლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელია. ამიტომ, მისი წყლის მაქსიმალური ხარჯები ფუჭი ქანების საპროექტო სანაყაროს უბანზე, დადგენილია დეტალური მეთოდით, რომელიც დამუშავებულია ამიერკავკასიის პიდრომეტეოროლოგიის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში და გამოქვენებულია „კავკასიის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკური მითითებაში“.

აღნიშნული დეტალური მეთოდის თანახმად წყლის მაქსიმალური ხარჯები იანგარიშება ფორმულით

$$Q = 16,67 \cdot \alpha \cdot \beta \cdot \delta \cdot F \cdot \frac{H}{T}$$

სადაც T – საპროექტო კვეთში წყლის მაქსიმალური ჩამონადენის კონცენტრაციის საანგარიშო დროა წუთებში. მისი მნიშვნელობა იანგარიშება ფორმულით

$$T = \left[\frac{L_{day}}{\varphi \cdot \sqrt{i^m_a \cdot \alpha \cdot l_0 \cdot K \cdot \tau^{0,27}}} \right]^{1,53}$$

სადაც L_{day} – ნაკადის „დაყვანილი“ სიგრძეა მეტრებში. მისი მნიშვნელობა იანგარიშება გამოსახულებით

$$L_{day} = \frac{L}{S} + l_0$$

აქ L – ნაკადის სიგრძეა მეტრებში მდინარის სათავიდან საპროექტო კვეთამდე.

S – მდინარის კალაპოტის და ხეობის ფერდობებზე ჩამომდინარე ნაკადების სიჩქარეების ფარდობაა.

l_0 – ფერდობის საანგარიშო სიგრძეა მეტრებში. იანგარიშება გამოსახულებით

$$l_0 = \frac{1000 \cdot F}{2 \cdot (L + \Sigma l)}$$

სადაც F – მდინარის წყალშემკრები აუზის ფართობია კმ²-ში;

Σl – შენაკადების ჯამური სიგრძეა კმ-ში

φ – აუზში არსებული ბალახეული საფარველის სიხშირეა. მისი მნიშვნელობა აიღება სპეციალურად დამუშავებული ცხრილიდან და ჩვენ შემთხვევაში ტოლია 0,34-ის;

i^m_a – აუზის ფერდობების ქანობია %-ში, ხოლო $m=0,6$ -ის;

α – მაქსიმალური ჩამონადენის კოეფიციენტია, მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით

$$\alpha = \xi \cdot (i + 0,1)^{0,345} \cdot T^{0,15} \cdot \lambda$$

აქ ξ – აუზში გავრცელებული ნიადაგის საფარველის მახასიათებელი კოეფიციენტია. მისი მნიშვნელობა იაღება სპეციალურად დამუშავებული რუკიდან და შესაბამისი ცხრილიდან.

$$i = \text{აუზში } \text{მოსული } \text{თავსებმა } \sqrt[3]{\text{წვიმის } \text{ინტენსივობა}} \text{ } \text{მმ/წთ-ში}; \quad i = \frac{H}{T};$$

აქ H – აუზში მოსული თავსებმა წვიმის საანგარიშო რაოდენობაა მმ-ში. მისი სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით

$$H = K \cdot \tau^{0,27} \cdot T^{0,31}$$

სადაც K – რაიონის კლიმატური კოეფიციენტია, რომლის მნიშვნელობა იაღება სპეციალურად დამუშავებული რუკიდან.

τ – განმეორებადობაა წლებში;

β – აუზში მოსული თავსებმა წვიმის არათანაბრად განაწილების კოეფიციენტია. მისი სიდიდე იანგარიშება ფორმულით

$$\beta = e^{-0,28 \cdot F^{0,6} \cdot \sqrt[3]{i} \cdot T^{-0,30}}$$

აქ e – ნატურალური ლოგარითმების საფუძველია;

δ – აუზის ფორმის კოეფიციენტია. მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით

$$\delta = 0,25 \cdot \frac{B_{\max}}{B_{sas}} + 0,75$$

სადაც B_{\max} – აუზის მაქსიმალური სიგანეა კმ-ში;

B_{sas} – აუზის საშუალო სიგანეა კმ-ში. მისი მნიშვნელობა მიიღება გამოსახულებით $B_{sas} = \frac{F}{L}$;

ანგარიშებში გათვალისწინებულია ასევე აუზის ტყიანობის კოეფიციენტი, რომლის სიდიდე იანგარიშება გამოსახულებით

$$\lambda = \frac{1}{1 + 0,2 \cdot \frac{F_t}{F}}$$

აქ F_t – აუზის ტყით დაფრული ფართობია %-ში, რაც ჩვენ შემთხვევაში ტოლია 98%-ის; აქედან $\lambda = 0,83$ -ს.

საპროექტო უბანზე უსახელო მდინარის წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშოდ საჭირო მორფომეტრიული ელემენტების მნიშვნელობები, დადგენილი 1:25000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით, მოცემულია ქვემოთ ცხრილში.

ცხრილი 8: უსახელო მდინარის მორფომეტრიული ელემენტები

პარამეტრი	$F_{\text{მ}}^2$	$L_{\text{მ}}$	$i_{\text{მ}}$	$i_a \%$	$\Sigma l_{\text{მ}}$	ξ	φ	K	δ
საპროექტო	27.8	15.3	0.0429	39.5	12.8	0.27	0.34	5.5	1.00

მოცემული მორფომეტრიული ელემენტების საფუძველზე დადგენილი წყლის მაქსიმალური ხარჯების საანგარიშოდ საჭირო ყველა აუცილებელი პარამეტრისა და თვით მაქსიმალური ხარჯების სიდიდეები, მოყვანილია ცხრილში.

ცხრილი 9: უსახელო მდინარის წყლის მაქსიმალური ხარჯები ფუჭი ქანების საპროექტო სანაყარო უბანზე

პარამეტრი	$\tau_{\text{წელი}}$	$P\%$	$T_{\text{წელი}}$	$H_{\text{მმ}}$	$i_{\text{მ}}/\text{წელი}$	α	β	$v_{\text{მ/წელი}} \text{ კალ.}$	$v_{\text{მ/წელი}} \text{ ცერდ.}$	$Q_{\text{მ}^3/\text{წელი}}$
საპროექტო	100	1	184	96.1	0.52	0.42	0.780	1.85	0.18	78.9
	50	2	201	82.0	0.41	0.39	0.799	1.75	0.15	59.2
	20	5	231	66.6	0.29	0.36	0.824	1.62	0.12	39.9
	10	10	245	56.3	0.23	0.34	0.840	1.53	0.11	30.4

უსახელო მდინარის წყლის მაქსიმალური ხარჯები, მოცემული №12 ცხრილში, მიღებულია საანგარიშო სიდიდეებად საპროექტო უბანზე.

მომქმედი ნორმების მიხედვით საპროექტო ნაგებობა (წყალგამტარი კალაპოტი) უნდა გაანგარიშდეს 1%-იანი უზრუნველყოფის შესაბამის მაქსიმალურ ხარჯზე, რომლის სიდიდეც, თანახმად ზემოთმოყვანილი გაანგარიშებებისა ტოლია 78,9 $\text{მ}^3/\text{წელი}$. მაგრამ ვითვალისწინებო რა იმ გარემოებას, რომ საპროექტო სანაყარო მდებარეობს ცენტრალური სავტომობილო გზის ახლოს, სანაყაროზე იყრება გრუნტის საკმაოდ დიდი მასა, რომლის გადატენიანებამ, იმ შემთხვევაში, თუ საპროექტო წყალგამტარი კალაპოტი ვერ გაატარებს ხევის ხარჯს და წყალი გადაედინება სანაყაროს ზედაპირზე, შეიძლება შექმნას გარკვეული პრობლემები, მიზანშეწონილად მიგვჩნია წყალგამყვანი კალაპოტის გაანგარიშება უფრო დაბალი ალბათობის საანგარიშო ხარჯზე. იმავე „კაგებასის პირობებში მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის საანგარიშო ტექნიკური მითითების“ მიხედვით, 1%-ზე დაბალი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯების მნიშვნელობები იანგარიშება 1%-იანი უზრუნველყოფის მაქსიმალური ხარჯის სიდიდის ($78,9 \text{ } \text{მ}^3/\text{წელი}$) გადამრავლებით ტექნიკურ მითითებაში მოყვანილ გადამყვან კოეფიციენტებზე. ამგვარად გვექნება:

- $Q_{0.5\%}=78,9 \times 1,16 = 91,5 \text{ } \text{მ}^3/\text{წელი}$
- $Q_{0.2\%}=78,9 \times 1,34 = 106 \text{ } \text{მ}^3/\text{წელი}$
- $Q_{0.1\%}=78,9 \times 1,16 = 114 \text{ } \text{მ}^3/\text{წელი}$

სანაყაროს მაღალი საიმედოობის უზრუნველყოფის მიზნით, წყალგამტარ კალაპოტს ვანგარიშობთ $Q_{0,1\%}=114$ $\text{მ}^3/\text{წ}$ წყლის ხარჯზე. აღნიშნული პარამეტრების გათვალისწინებით წყალგამტარი არხი სრულად უზრუნველყოფს წყალდიდობისაგან და დატბორვისაგან დაცვას.

ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში, სოფელ ვერტყვიჭალას მიმდებარედ, თბილის-ბათუმის ცენტრალური საავტომობილო გზის მარჯვენა მხარეს.

სანაყაროს მოსაწყობად გათვალისწინებულია მდინარე ძირულას მარჯვენა შენაკადის 700-800 მ. სიგრძის ხეობის მონაკვეთის გამოყენება, მისი მირის 380-400 მ. ნიშნულებზე. შენაკადი სათავეს იღებს საავტომობილო ტრასიდან ჩრდილოეთით 1,5 კმ. მანძილზე, "ვაკემთის" სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე. გაედინება იმავე, სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით. სათავიდან 2 კმ.-ის შემდეგ კვეთს საავტომობილო გზას და ვერტყვიჭალას შემდეგ ერწყმის მდინარე ძირულას მარჯვენა მხრიდან.

მდინარის დებიტი 2019 წლის დეკემბრის დასაწყისში (გვალვიან პერიოდში) შეადგენდა 22 ლ/წ-ს. საპროექტო მონაკვეთზე მდინარე უმეტესად გაედინება კლდოვან ფსკერზე.

საავტომობილო გზის ზემოთ, სათავემდე, მდინარის ხეობაში აღინიშნება მხოლოდ ორი მოსახლე, შესაბამისი საკარმიდამო მიწის ნაკვეთით და ერთი, მიტვებული წისქვილის პატარა ნაგებობა. სანაყარო განთავსდება აღნიშნული ორი საცხოვრებელი სახლის ზემოთ.

მდინარე გაედინება ღრმა, ძირითადად სიმეტრიულ ხეობაში, რომლის ფერდობები მკვეთრად არის დახრილი კალაპოტისაკენ. მის მთელ სიგრძეზე საერთო დახრა დაახლოებით 40^0 -ს შეადგენს, თუმცა ორივე ნაპირზე აღინიშნება 150-200 მ..-მდე სიგრძის შედარებით მცირედ, 15-20 0 -მდე დახრილი უბნები ხეობის ქვედა, 40 მ. სიგანისა და 50 მ.-მდე სიგრძის მონაკვეთებზე. ხეობა საკმაოდ ღრმაა. იგი მთლიანობაში არ არის გამომუშავებული ზემოთ აღწერილი ნაკადის მიერ, რადგან მდინარის ნაკვალევი აღინიშნება ხეობის ფსკერიდან მხოლოდ 5-15 მ.-ის სიმაღლეზე.

საპროექტო უბანზე მდინარეს მარჯვენა მხრიდან ერთვის სამი მცირედებეტიანი შენაკადი, ხოლო მარცხენა მხრიდან 1 შენაკადი. მათი ხარჯები 0,5-1,5 ლ/წ-ის ფარგლებშია.

ტერიტორიის გეოლოგიურ აგებულებაში მონაწილეობენ შუა იურული, ბაიოსის წყების (J_{2b}) ლავები, ლავობრექჩიები, კორ-ტუტე ბაზალტების, ანდეზიტბაზალტების, ანდეზიტების, იშვიათად დაციტების და რიოლიტების პიროკლატოლიტები და ტუფიტები. ჭრილის ზედა ნაწილში კი ტუფოკონგლომერატები, ტუფოქვიშაქვები, ტუფოარგილიტები კონგლომერატები, ქვიშაქვები და თიხები (პორფირიტული წყება).

პიდროგეოლოგიური დარაიონებით, სანაყაროს განთავსების უბანი შედის საქართველოს ბელგის V ოლქის, ძირულის კრისტალური მასივის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული გრუნტის წყლების გავრცელების III რაიონში, სადაც წყალშემცველად

გვევლინებიან ბაიოსის წყების გუდგანოგენურ-დანალექი ნალექები, პორფირიტები და მათი ტუფები, ტუფოქიშაქები, ტუფობრექჩიები და ფიქლები. კრისტალურ ქანებში მიწისქვეშა წყლები ცირკულირებენ ელუვიურ ზონაში, ასევე ალუვიურ და დელუვიურ ნალექებში.

კრისტალური ქანების მიწისქვეშა წყლები დაკავშირებულია 30 მ.-მდე სიმძლავრის გამოფიტვის ზონასთან და ნაპრალებთან. ისინი ხასიათდებიან გავრცელების ფართობების წყვეტილობით და ფილტრციის მოკლე გზებით. მათი კვების არე ემთხვევა მათივე გავრცელების არეს. კომპლექსის წყალშემცველობა სუსტია. წყლები ხასიათდებიან სტაბილური ქიმიზმით, დაბალი მინერალიზაციით (0,1-0,5 გ/ლ) და ჰიდროკარბონატულ კალციუმიანი და ნატრიუმიანი შემადგენლობით.

გაცილებით მეტი წყალუხვობით გამოირჩევა ბაიოსის პორფირიტული წყება, რომლის წყლები დაკავშირებულია მასიური პორფირებისა და ტუფობრექჩიების ნაპრალებთან. რაიონის ბუნებრივი რესურსები 11 მ³/დღედამეში შეადგენს.

საინჟინრო-გეოლოგიური დარაიონებით დასახასიათებელი ტერიტორია შედის ძირულის კრისტალური მასივის V ოლქის კემბრულიამდელი, პალეოზოური და მეზოზოური კრისტალური ქანების გავრცელების V1 რაიონში. იგი აგებულია კრისტალური ფიქლებით, პალეოზოური და იურული გრანიტოიდებით.

ამ უგანასკნელს უჭირავს რაიონის ცენტრალური და უმეტესი ნაწილი. ამ ქანებით აგებულია რიკოთის უღელტეხილი და მდინარეების, ძირულასა და რიკოთულას აუზები. გრანიტოიდები წარმოდგენილია კვარციანი დიორიტებით და პალეოზოური მიკროკლინიანი გრანიტებით, ასევე "ხევის" ინტრუზიის იურული ასაკის გრანიტებით. ყველაზე მეტ გავრცელებას პოულობს კვარციანი დიორიტები. ისინი გამოუფიტავ მდგომარეობაში განსაკუთრებით მტკიცე და მდგრადები არიან ფერდობებზე, მაგრამ ძირულის მასივში, გამოფიტვისათვის ხელსაყრელი ფაქტორების გამო, როგორებიცაა ტექტონიკური დანაწევრება, ქარსოვანი მასალით სიმდიდრე და კლიმატური პირობები, კვარცულ დიორიტებში ინტენსიურად არის განვითარებული როგორც ფიზიკური დენტებრაცია, ასევე ქიმიური გამოფიტვა. მათ შორის ჭარბობს ჰიდრატაცია, კარბონატიზაცია და ჟანგვადობა.

ცხრილი 10: გამოფიტვის ზონაში და ფარულ ნაპრალოგანში კვარცული დიორიტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ცვალებადობა

გამოფიტვის ზონა	სიმკერივე P გ/სმ ³	წინაღობა კუმშვაზე R _{ცაა}	
		გშრალი გრუნტის	გაწყლია- ნებულის
წვრილდისპერსიული ზედა ნაწილი	2,33	0,614	0,102
დორდოვანი ზედა ნაწილი	2,43	3,165	1,53
დორდოვანი ქვედა ნაწილი	2,49	19,233	14,913
დორდოვანი ქვედა ნაწილი	2,57	32,621	31,342

ფარცულ-ნაპრალოვანი		>100
--------------------	--	------

კვარცული დიორიტების გამოფიტვის მძლავრ ზონაში (25° გ), $30-50^{\circ}$ -ით დახრილ ფერდობებზე, ისეთი ფაქტორების ზემოქმედებამ, როგორიცაა ატმოსფერული ნალექები, მიწისქვეშა წყლები, მასიური აფეთქებები, ტყის გაჩეხვა და მკვეთრად დაახრილ ფერდობებზე მაღალი კუთხით გრუნტის მოჭრა, რიკოთის უღელტეხილზე სოფლებთან: ხევი, უბისა და საქასრია, გამოიწვია 100 ათასიდან 1 მილიონამდე მ³ მოცულობის მეწყრები, რომლებიც თავისი ტიპით ძირითადად მიეკუთვნებიან მეწყერ-ჩამონგრევას. ისინი ვითრდებიან ძირითადად გამოფიტვის დორფლოვან ზონაში. იშვიათად ბლოკურ ზონაში ვითარდება ბლოკური მეწყრები. ზოგან თიხა-დორდოვანი დანაგროვებები დასველების შედეგად გადადის პლასტიკურ, მცოცავ მეწყრებში.

მეწყრული დაზიანებადობის კოეფიციენტი საავტომობილო გზის გასწვრივ $0,3$ -ის ტოლია, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ხოლო მთლიანად რაიონისათვის იგი $0,1$ -ს შეადგენს.

მიკროკლინიანი გრანიტები, საინუინრო-გეოლოგიური თვალსაზრისით კვარცული დიორიტების ანალოგიურია.

რაც შეეხება სოფელ ხევის ნეოინტრუზიულ გრანიტებს - მათში აღინიშნება მხოლოდ ფიზიკური გამოფიტვა, რომლის დეზინტეგრაციის შედეგად წარმოიქმნება ხვინჭა და ქვიშა. შემდგომში ეს მასალა გროვდება ფერდობების ძირში ან რელიეფის ჩადაბლებულ ნაწილში და ზოგჯერ დაგროვილი მასა გადადის შვავებსა და სელებში.

გამოთვლების შედეგად დადგენილია (ჭოხონელიძე, ჯანჯლავა), რომ გრანიტოიდების დორდოვანი ზონის ფერდობებზე მდგრადობის უკიდურესი პარამეტრებია: შინაგანი ხახუნის კუთხე - $\varphi=16^{\circ}$ და შეჭიდულობა $-C=0,4$ კგ/სმ². ეს მონაცემები გასათვალისსწინებელია სანაყარომდე მისასვლელი საავტომობილო გზის დაპროექტებისას.

ტექტონიკურად საპროექტო უბანი შედის ცენტრალურ (ძირულის) აღზევების ზონაში, რომელიც ყოფს საქართველოს ბელტის აღმოსავლეთ და დასავლეთ დაძირვის ზონებს. იგი წარმოადგენს გაშიშვლებულ კრისტალურ სუბსტრატს, აგებულს პალეოზოური მეტამორფული და კრისტალური ფიქლებით, გნეისებით და გრანიტოიდებით, ძირითადი და ულტრაძირითადი ქანებით, ასევე ზედა პალეოზოური კვარც-პორფირიტებით და ტუფიტებით.

ეს კრისტალური სუბსტრატი, რომლის ფორმირებაში ძირითადი როლი ითამაშა ჰერცულმა ოროგენეზმა, იკვეთება შედარებით ახალგაზრდა მაგმური წარმონაქმნებით, კერძოდ ბათური გრანიტოიდებით და არათანხმობრივად გადაფარულია ლიასის ტერიგენული ნალექებით, რომელსაც მიუყვება ბაიოსის პორფირიტული წყება, ცარცის კარბონატული ნალექები, ოლოგოცენისა და ნეოგენის ტერიგენული წარმონაქმნები. აქ გამოიყოფა იურამდელი, ცარცამდელი და ცარცის შემდგომი ნაოჭა სტრუქტურები. არსებითი როლი ეკუთვნის სხვადასხვა ასაკოვან რღვევებს, რომლებიც სინკლინებს ანიჭებენ მარაოსებრ ფორმას, ხოლო ანტიკლინებს - მუჭისებრს.

სპეციალური ნაწილი/სანაყაროს მოწყობა

სანაყაროს განსათავსებლად გამოყოფილი ტერიტორია წარმოადგენს მდ. ძირულას მარჯვენა შენაკადის 100 მ.-მდე სიღრმის სიმეტრიულ ხეობას. სანაყაროსათვის გათვალისწინებულია მისი 700-800 მ. სიგრძის მონაკვეთის გამოყენება, შესაბამისად ქანის დაზვინვის ტექნოლოგიით სანაყაროს ტიპი წარმოადგენს ლენტურს, ხოლო მის განივავთს ექნება ტრაქეციის ფორმა.

სანაყაროს ნდგრადობის განსაზღვრისათვს საჭიროა სამი პარამეტრის დადგენა: L- სიგრძე, h- სიმაღლე და S-განივავეთის ფართობი.

სანაყაროს ფერდის მაქსიმალური დახრის კუთხე აიღება გაფხვიერებული ნოტიო გრუნტის ბუნებრივი დაფერდების კუთხის ტოლი, რომელიც ამ შემთხვევაში ტოლია ხეობების ფერდობების დაქანების (15-დან 40 გრადუსამდე).

სანაყაროს მოცულობა გამოიანგარიშება ფორმულით

$$L_b = V_b / S_b = V_b \times k_b / S$$

სადაც:

- L- ლენტური სანაყაროს სიგრძეა;
- V - სანაყაროს მოცულობა მ³;
- V - ქანის რაოდენობა, რომელიც ტოლია გვირაბის მოცულობის, მ³. იგი გამოითვლება გვირაბის მოცულობის გამრავლებით გაფხვიერების კოეფიციენტების, რომელიც ცვალებადობს 1,1-2,5-ის ფარგლებში.

გაფხვიერების კოეფიციენტის სიდიდე დამოკიდებულია ქანის ნატეხის სიმსხოზე. 50-დან 200 მმ-მდე ნატეხებისათვის K_d 1,8-2,0-ის ფარგლებშია.

სანაყაროსათვის განკუთვნილი ხეობის ფერდობები გატყიანებულია ფოთლოვანი ხეებით და ბუჩქებით. მათი ლენტურ სანაყაროზე დასაწყობება არ არის მიზანშეწონილი. ასეთ შემთხვევაში მცენარეულ შრეს აწყობენ სანაყაროს ერთერთი გვერდის გასწვრივ, რომელზეც იყრება ფუჭი ქანი და იტკეპნება. დატკეპნა შეიძლება ჩატარდეს ბულდოზერით.

ხეობებში და ხრამებში განლაგებული სანაყაროები ბევრ შემთხვევაში შეიძლება რეაცულტივირებული იქნას. სანაყაროები მოწყობის შემდეგ უნდა დაიფაროს 30-35 სმ სისქის ნოჟიერი ქანის შრით (ნიადაგის ფენით). მიწის კულტურული ფენის აღდგენის მიზნით სასურველია ხეების დარგვა და ადგილმდებარეობის გამწვანება.

სანაყაროს ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგია

საპროექტო ტერიტორიის ფერდობები და ფსკერი წარმოდგენილია ბაიოსის წყების გრანიტოდებით, რომლებიც ზედაპირიდან 3-5 მ. სიღრმემდე ძლიერ დისლოცირებული და გამოფიტულია.

ფერდობებზე დელუვიური, დორდის, ხვინჭის და ლოდების ჩანართებიანი თიხა-თიხნარის სიმძლავრე 0,5-1,5 მ.-ს არ აღემატება. ფერდობების ძირებში დაგროვილი პროლუვიური და კოლუვიური თიხა-თიხნარით შევსებული დორდის, ხვინჭის და ლოდების სიმძლავრე 2 მ.-ს აღწევს და ისინი ხასიათდებიან წყვეტილი გავრცელებით.

ხეობის საპროექტო მონაკვეთზე, ორი მოსახლის ზემოთ, მდინარის მარჯვენა ნაპირზე აღინიშნება ორი, კალაპოტსკენ მცირედ დახრილი ალუგიური ტერასა. ერთი - მდინარის მიერ შექმნილი პატარა კუნძულის ზემოთ, სიგრძით 80 მ. და სიგანით 10-25 მ., ხოლო მეორე - ხეობის ზედა ნაწილში, სიგრძით 100 მ. და სიგანით 10-დან 30 მ.-მდე.

მარცხენა ნაპირზე, მიტოვებული წისქვილის ქვემოთ აღინიშნება 120 მ.-მდე სიგრძის და 40 მ.-მდე სიგანის ჭალის ტერასა.

ორივე ნაპირების ტერასებზე, ზედაპირიდან 2,0-3,0 მ. სიღრმემდე გავრცელებულია თიხა-თიხნარით და დაუმუშავებელი მსხვილმარცვლოვანი ქვიშით შევსებული ლოდები, ღორდი და ხვინჭა.

წისქვილის ზემოთ, 150 მ. მანძილზე, მდინარეს ერთვის მცირეწყლოვანი ხევი, რომელსაც შექმნილი აქვს 60 მ. სიგრძის გამოზიდვის კონუსი, წარმოდგენილი თიხნარითა და უხეშმარცვლოვანი ქვიშით შევსებული ლოდებით, ღორდით და ხვინჭით. კონუსის სიმძლავრე ფუძესთან (მდინარესთან) 3 მ.-ს აღწევს.

შედარებით მცირე სიდიდის გამოზიდვის კონუსი აღინიშნება ხევის ზედა მარცხენა ნაპირზეც.

დანარჩენი ორი მარჯვენა მცირენაკადიანი შენაკადები, ფერდობის დიდი კუთხით დახრის გამო, შესართავთან ვერ ქმნიან გამოზიდვის კონუსებს.

აღწერილი შენაკადები იბადებიან ამავე ხეობის ფერდობების ზედა ნაწილში მცირედებებიანი წყაროებიდან. შესართავებთან მათი ხარჯი 0,5-1,5 ლ/წმ-ის ფარგლებშია.

თანამედროვე გეოლოგიური პროცესები

სანაფაროს განსათავსებლად განკუთვნილი წყლიანი ხობა მთლიანად აგებულია კლდოვანი ქანებით. მდინარე უმეტესად გაედინებ გაშიშვლეულ კლდოვან ფსკერზე. მეოთხეულის სიმძლავრე ფერდობებზე უმნიშვნელოა. შესაბამისად უმნიშვნელოა მეწყერული აქტიურობაც.

თანამედროვე პროცესებიდან მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ბლოკურ ჩამონგრევებს. ძირითადი ქანების გამოფიტვის ზოლში იმტენსიურია ეროზია-დენუდაცია. მკვეთრად დხრილი ფერდობებიდან დაშვებული ხევები ანვითარებენ ძირითად ხაზურ ეროზიას. ქანების მაღალი სიმტკიცისა და ფერდობების დიდი დახრის გამო, ისინი ვერ ანვითარებენ გვერდით ეროზიას და ვიწრო კალაპოტებით ეშვებიან მდინარის კალაპოტისაკენ.

მცირე მოცულობის მეწყერული სხეულები აღინიშნება მარჯვენა ნაპირზე. მათ დეტალურ დახასიათებას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, რადგან მეწყერების ცირკები, (ანუ მოწყვეტის ზედა ნაწილი), სანაფაროს მოწყობის შემდეგ შევსებული იქნება გრუნტით, რომელიც მასტაბილიზირებელ როლს ითამაშებს მათ მდგრადობაში.

მთავარ ქურადღებას იმსახურებს თვით მდინარე და მისი შენაკადები. მათი დარეგულირება და ისეთი სახით გაყვანა სანაყაროდან, რომ არ მოხდეს მათი შეგუბება და სანაყაროს გრუნტების გაჯიჯვება, ასევე სანაყარომდე მისასვლელი საავტომობილო გზა.

წარმოდგენილ 1:1000-იანი მასშტაბის გეგმაზე არ არის დატანილი გზის ტრასა (აღნიშნული უნდა განიხა ზღვროს სანაყაროს პროექტის დამუშავების პროცესში), თუმცა იგი ყოველ შემთხვევაში გაივლის ხეობის ფერდობზე მოჭრილ თაროზე, რაც გარკვეულ სირთულეებთან იქნება დაკავშირებული. კერძოდ:

- ტყის საფარის მოცილებას გზის გასწვრივ შეიძლება მოყვეს ჩამონგრევაზამოქცევითი პროცესების გაძტოურება მოჭრილი თაროს ზედა ნაწილში, რადგან მცენარეული ფეხვები გარკვეულ, არმატურის როლს თამაშობენ ნაპრალოვან ქანებსა და დელუვიონში;
- მძიმე სატვირთო ავტომანქანების გადაადგილებას ძლიერ დისლოცირებული კლდოვანი ქანებით წარმოდგენილ ფერდობზე თან სდევს რყევები და ბიძგები, რაც შეიძლება ბლოკური ჩამონგრევების მაპროვოცირებელი გახდეს.
- ფერდობზე მოჭრილი გრუნტების მიმდებარედ დაყრის შემთხვევაში, მოსალოდნელია დამძიმებული ფერდობის გრუნტების ამოძრავება. შესაბამისად ეს გრუნტი უნდა გაიზიდოს ფერდობიდან;
- გზის ზედა ფერდოს დახრამ უნდა შეადგინოს მინიმუმ $75-76^0$ (1:0,25);

ტრასის გაყვანა უნდა მოხდეს ინჟინერ-გეოლოგთან შეთანხმებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული ტრასის გაყვანა მეწყრულ და მეწყრისადმი მიღრეკილ უბნებზე.

ცხრილი 11: საპროექტო ტრასაზე გავრცელებული გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური მახასიათებლები

№	გრუნტების დასახელება	სიმკერივე ბუნებრივი P კგ/მ³	დამუშავების კბული და ძატებორია	ფერდოს ქანობი 3 მ-მდე დატებორია	დეფორმაციის მოდული E მპა	შინაგანი ხახუნის კუთხე ფგრადუსი	შეჭიდულობა C, კპა	საანგარიშო დატებირთვა R₀ კპა	წინადობა ეუმშგაზე Rc კპა	კატეგორია სეისმურობით
1	თიხა- თიხნარი, დორლის, ხვინჭის და ზოგან ლოდების ჩანართებით.	1900	8 ³ III	1:0,5	20	25	30	200	-	II
2	ლოდები, დორლი და ხვინჭა სხვადასხვა შემაგრებლით	2000	6 ³ IV	1:1	50	32	2	400	-	II
3	გრანიტოდები, ძლიერ ნაპრალოვანი და გამოფიტული	2600	18 ³ VI	1:0,2	-	-	-	>600	100	II
4	გრანიტოდები, საშეალოდ ნაპრალოვანი	2700	18 ³ VII	ვერტ.	-	-	-	1000	150	I

ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების კვლევა

სანაყაროს პროექტის შემუშავების მიზნებისთვის ჩატარდა ბიომრავალფეროვნებასთან და კაგუშირებული კვლევები: მცენარეები და ჰაბიტატები, ხმელეთის ცხოველები და წყლის ბიომრავალფეროვნება. კვლევები ჩატარდა 2020 წლის თებერვალში.

მცენარეული საფარის და ჰაბიტატების მდგრმარეობის დახასიათება

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის სოფ. ვერტყვიჭალას მიდამოებში, რომელიც მოიცავს მდ. ძირულას მარჯვენა უსახელო შენაკადის კალაპოტს და ხეობის ფერდობების მდინარის კალაპოტის მიმდებარე ნაწილს. აღნიშნულ ფართობზე დაგეგმილია რიკოთის აგრომაგისტრალის მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი და გამოზიდული ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობა. ტერიტორია მიეკუთვნება ზემო იმერეთის პლატოს გეობორბანიკური ოლქის ზემო იმერეთის პლატოს გეობორბანიკურ რაიონს. რაიონის მცენარეული საფარის ჰიფსომეტრული პროფილი წარმოდგენილია მხოლოდ ტყის სარტყელის არასრული ვარიანტით. ისტორიულად ჩამოყალიბებული მჭიდრო დასახლებების და შესაბამისად ხანგრძლივი სამეურნეო საქმიანობის გავლენით ბუნებრივი პირების მცენარეულობა და ჰაბიტატები ბევრგან ფაქტობრივად განადგურებულია და მხოლოდ ცალკეულ ხეობებში მეტნაკლებად შეცვლილი სახითაა შემორჩენილი (ლიხის ქედი, ძირულა-ჩერიმელას წყალგამყოფი და სხვ.).

ამ რაიონში ტყის მცენარეულობის შემადგენლობაში გვხვდება შერეული ფართოფოთლოვანი და წიფლნარი (*Fagus orientalis*) ტყები. შერეული ფართოფოთლოვანი ტყის ეკოსისტემები გავრცელებულია ზ.დ. 800-900 მ-დებ. მათ შემადგენლობაში მონაწილეობს - წაბლი (*Castanea sativa*), რცხილა (*Carpinus caucasica*), წიფელი (*Fagus orientalis*), მურყანი (*Alnus barbata*), ცაცხვი (*Tilia begoniifolia*), ლეგა (*Acer platanoides*), იფანი (*Fraxinus excelsior*), ქართული, კოლხური და იმერული მუხები (*Quercus iberica*, *Q. Hartwissiana*, *Q. Imeretina*). ტყის შემდგომ მდელოებზე და მიტოვებულ სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებზე გამოხატულია მურყანის (*Alnus barbata*) ძლიერი ექსპანსია და ვითარდება მურყნარის დროებითი სუქცესიური ცენოზები. რაიონის შედარებით მაღალ ნაწილში (800 მ-დან ზევით) დომინირებს აღმოსავლური წიფლის (*Fagus orientalis*) ფორმაცია. ტყები წარმოდგენილია, როგორც მონოდომინანტური, ისე ბიდომინანტური (წაბლნარ-წიფლნარი, რცხილნარ-წიფლნარი) ჰაბიტატებით. წიწვიანი ტყეები რაიონის ტერიტორიაზე იშვიათია და გვხვდება მხოლოდ ფიჭვის (*Pinus sosnowskyi*) ტყეების მცირე ფართობის ფრაგმენტების სახით. მეორეული ტყის შემდგომი ბუჩქნარების შემადგენლობაში დომინირებს ჯაგრცხილნარები (*Carpinus orientalis*) და სხვა ქსერომეზოფილური ნაირბუჩქნარები.

ზემო იმერეთის პლატოს მცენარეულ საფარში კოლხური მესამეულ-რელიქტური სახეობების ფიტოცენოზური პოზიციები საკმაოდ მოკრძალებულია. შედარებით ფართო გავრცელებით სასიათდება წყავი (*Laurocerasus officinalis*), შქერი (*Rhododendron ponticum*), იელი (*Rhododdendron luteum*).

საკვლევ ტერიტორიაზე ჩატარებული ბოტანიკური კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ხეებული ლოკაციის უდიდესი ნაწილი წარმოდგენილია ტყის შემდგომი ბუჩქნარების და მდელოების შერეული კომპლექსებით, რომლებიც მერქნიანი და ბალახოვანი ჰაბიტატების დომინირების შეტნაკლები გარდამავლობით სასიათდება. ბუჩქნარ ჰაბიტატებში ნიადაგი ტყის ყავისფერი და გაეწყებული ტყის ყავისფერი ტიპისაა მომშრალოდან ზომიერად ტენიანზე გარდამავალი ცვალებადობით. განვითარებულია აღმოსავლეთ, დასავლეთ და ამ ექსპოზიციებისკენ გარდამავალ მცირე და საშუალო დაქანების ფერდობებზე.

აღწერა N1. ნაირბუჩქნარის და მდელოს კომპლექსი
იარუსი A. ბუჩქების პროექციული დაფარულობა 15-25% ფარგლებში მერყეობს.
შემადგენლობაში მონაწილეობს - ჯაგრცხილა (*Carpinus orientalis*), კვიდო (*Ligustrum vulgare*), კუნელი (*Crataegus kytostyla*), თხილი (*Corylus avellana*), ჭყორი (*Ilex colchica*),
მაყვალი (*Rubus caucasicus*).

იარუსი B. ბალახოვანი საფარი წარმოდგენილია მეორეული მდელოს მცენარეულობით.
პროექციული დაფარულობა 80-85%. შემადგენლობა: *Achemilla* sp., *Clinopodium umbrosum*,
Helleborus caucasicus, *Plantago lanceolata*, *Poligala foetidissima*, *Primula woronowii*, *Ranunculus caucasicus*.


ბალახოვანი საფარი საძოვრადაა გამოყენებული და ძლიერ დეგრადირებულია, რაც
განაპირობებს გასტეპების ტენდენციების გააქტიურებას შესაბამისი სახეობების
ინვაზიის სახით, რომელთაგანაც გვხვდება ურო (*Botryochloa ischaemum*) და ველის
წივანა (*Festuca valessiaca*).

მდინარის ხეობის მარჯვენა ფერდობის ზემო ნაწილში წარმოდგენილია შერეული
ფართოფოთლოვანი ტყის ფრაგმენტები, რომელთა შემადგენლობაში მონაწილეობს
საქართველოს წითელი ნუსხის სახეობა წაბლი (*Castanea sativa*). საექსპლუატაციო
ტერიტორიაზე წარმოდგენილია წაბლის სამი ეგზემპლარი (დეროს დიამეტრი 16, 24, 32
სმ; სიმაღლე 15-22მ; კოორდინატები X 363185, Y 4663521). მაღალი საკონსერვაციო
ღირებულების სახეობებიდან გვხვდება კაკლის (*Juglans regia*) ერთი ეგზემპლარი (დეროს
დიამეტრი 40სმ; სიმაღლე 12მ; კოორდინატები X 363125, Y 4663812,5).

სავარაუდოდ სანაყაროს ტერიტორიაზე მოზარდი წითელი ნუსხის სახეობების (3 წაბლი,
1 კაკალი) ინდივიდები საპროექტო სამუშაოების განხორციელების პროცესში
დაეჭვემდებარება პირდაპირ ზემოქმედებას, ანუ ოთხივე ძირი ხე მოიჭრება. აქვთ, უნდა
ავლიშნოთ, რომ სანაყაროს საპროექტო ტერიტორიის უდიდეს ნაწილზე (98%)
განვითარებულია პასტორალური ფაქტორის სისტემური ზემოქმედების შედეგად ძლიერ
დეგრადირებული მეორეული წარმოშობის ტყის შემდგომი სუქცესიური მცენარეულობა,
კერძოდ, ბუჩქნარ- მდელოს კომპლექსი და შესაბამისად, წარმოადგენს დაბალი
საკონსერვაციო ღირებულების პაბიტაცს (აღწერა N1). დაგეგმილი საპროექტო
სამუშაოების განხორციელების პროცესში აღნიშნული არეალის (ფართობი 7.33 ჰა)
მცენარეულობაც დაეჭვემდებარება პირდაპირ ზემოქმედებას, ანუ ბუჩქნარში (ნაკვეთის
ფართობის დაახლოებით 15-25%) ჩატარდება პირწმინდა ჭრა, ხოლო მდელოს
(ბალახოვანი საფარი) ნააღმდეგი საექსპლუატაციო პერიოდში დაიფარება სანაყაროს
ტერიტორიაზე განთავსებისთვის განსაზღვრული ნარჩენი მასალით.

ნახაზი 7: ადგილობრივი მცენარეული საფარი









ხმელეთის ფაუნის აღწერა და რეკომენდაციები ტერიტორიის ზოგადი დახასიათება

საპროექტო ტერიტორია, რომელიც შერჩეულია გამომუშავებული ფუჭი ქანების სანაყაროს მოსაწყობად, მდებარეობს ხარაგაულის მუნიციპალიტეტში. კერძოდ, სოფელ ვერტყვიჭალაში, მდინარე რიკოთულას მარჯვენა სანაპიროზე.

რიკოთულას ამ ადგილში ერთვის პატარა უსახელო მდინარე (დელ). ამ მდინარის ხეობაში, შესართავიდან დაახლოებით ერთი კილომეტრის დაშორებით, მდებარეობს 700 მეტრის სიგრძის მონაკვეთი, სადაც იგეგმება სანაყაროს მოწყობა.

შესწავლის ობიექტს წარმოადგენდა ზემოაღნიშნული უსახელო მდინარის ხეობის ეს მონაკვეთი. ტერიტორია შედგება ტყიანი ფერდობებისა და მცირე ზომის მდელოებისაგან, რომელსაც შუაზე პყოფს დელ. ტყე ძირითადად ფოთლოვანია, მუხის, რცხილის, თხილისა და მურყნის დომინანტობით.

კვლევის მიზანი

კვლევის მიზანს წარმოადგენდა ზემოხსენებულ ტერიტორიაზე ფაუნის შესწავლა. კერძოდ, ძუძუმწოვრების, ფრინველების, ამფიბიებისა და რეპტილიების შესახებ შესაბამისი ლიტერატურული წყაროებისა და უშუალოდ ამ ტერიტორიაზე ჩატარებული სავალე კვლევის საფუძველზე, რეგიონისთვის დამახასიათებელი სახეობების გამოვლენა და მათზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება. აღნიშნულ ტერიტორიაზე ცხოველების ან მათი არსებობის დამადასტურებელი ნებისმიერი ნიშნის (კვალი, ექსკრემენტი, სორო, ბუდე, ბუმბული და ა.შ.) აღმოჩენა, პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრის ან შემარბილებელი სამუშაოებისთვის რეკომენდაციისა და აუცილებელი ქმედებების შემუშავება (კვლევას უძღვებოდა ნიკო ქერდიკოშვილი).

კვლევის პირველად ეტაპზე, წინასწარ მოძიებულ იქნა შესაბამისი ლიტერატურა. დადგინდა ყველა ის სახეობა, რომელიც შესაძლოა, წლის სხვადასხვა პერიოდში გვხვდებოდეს აღნიშნულ ადგილზე და მის შემოგარენ ტერიტორიებზე.

საველე კვლევის ჩასატარებლად, სანაყაროს საპროექტო ტერიტორიაზე მოინიშნა ორი ტრანსექტი მდინარის მარჯვენა და მარცხენა მხარეებს. თითო ტრანსექტი 700 მეტრის სიგრძის მონაკვეთს წარმოადგენდა, რომლებიც ერთმანეთისაგან 50-70 მეტრით იყო დაშორებული, რელიეფიდან გამომდინარე. საველე გასვლებისას ორივე ტრანსექტზე ხდებოდა ცხოველის არსებობის დამადასტურებელი ნებისმიერი ნიშნის ჩანიშვნა ამ წერტილის დაფიქსირება GPS- ის მეშვეობით.

მოძრავი ობიექტების დაფიქსირება ხდებოდა მხოლოდ პირველ ტრანსექტზე, ხოლო მეორეზე ხორციელდებოდა მხოლოდ ცხოველების არსებობის დამადასტურებელი სხვა ნიშნების დაფიქსირება (ასევე იმ სახეობების მონიშვნა რომლებიც პირველ ტრანსექტზე არ დაფიქსირებულა).

ცხოველთა აღრიცხვა ხდებოდა კვალის, ექსპრემენტების, სოროების, ბუდეების, ბუმბულების, ხმის და სხვა ნიშნების მეშვეობით. ფრინველების აღმოსაჩენად გამოყენებულ იქნა ბინოკლი და ფოტოაპარატი. სამიზნე ობიექტების აღმოჩენის წერტილების მოსანიშნად გამოყენებულ იქნა GPS-Garmin 64s მოწყობილობა. (იხ. ნახაზი 8.).

ნახაზი 8: სამიზნე ობიექტების აღმოჩენის წერტილები



ლიტერატურული წყაროების მიხედვითა და პირად გამოცდილებაზე დაყრდნობით, საკვლევი ტერიტორიის განთავსების რეგიონში წელიწადის სხვადასხვა დროს შესაძლოა, გვხვდებოდნენ ძუძუმწოვრების, ფრინველების, რეპტილიებისა და ამფიბიების შემდეგი სახეობები: (ძუძუმწოვრების სახეობები ნაჩვენებია ცხრილში N11.)

გხრილი 11:

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	წითელი ნუსხა	IUCN	დაცვის სხვა საფუძველი
1	<i>Canis lupus</i>	რუხი მგელი			CITES კონვენციის დანართი II; ბერნის კონვენცია
2	<i>Canis aureus</i>	ტურა		LC	
3	<i>Vulpes vulpes</i>	მელა		LC	
4	<i>Lutra lutra</i>	წავი	VU	NT	CITES კონვენციის დანართი I; ბერნის კონვენციის დანართი-II; ჰაბიტატების კონვენციის დანართი II-IV
5	<i>Martes martes</i>	ტყის კვერნა		LC	ბერნის კონვენციის დანართი-III; ჰაბიტატების კონვენციის დანართი V
6	<i>Martes foina</i>	კლდის (ქვის) კვერნა		LC	ბერნის კონვენციის დანართი-III; ჰაბიტატების კონვენციის დანართი V
7	<i>Meles meles</i>	მაჩვი			ბერნის კონვენციის დანართი-III
8	<i>Felis silvestris</i>	ტყის კატა		LC	CITES კონვენციის დანართი II; ბერნის კონვენციის დანართი II; ჰაბიტატების კონვენციის დანართი IV
9	<i>Erinaceus concolor</i>	ევროპული ზღარბი		LC	
10	<i>Mustela nivalis</i>	დედოფალა		LC	ბერნის კონვენციის დანართი-III;
11	<i>Talpa levantis</i>	მცირე თხუნელა		LC	
12	<i>Sorex raddei</i>	რადეს ბიგა		LC	
13	<i>Neomys Schelkovnikovi</i>	წყლის ბიგა		LC	
14	<i>Sciurus anomalus</i>	კავკასიური ციყვი	VU	LC	ჰაბიტატის დაკარგვა(92/43)IV 21/05/92; ბერნის კონვენცია II 01/03/02
15	<i>Dryomys nitedula</i>	ტყის ძილგუდა		LC	ბონის კონვენცია (დანართი III) კონვენცია ჰაბიტატების დირექტივა - დანართი IV,
16	<i>Terricola majori</i>	ბუჩქნარის მემინდვრია		LC	
17	<i>Apodemus uralensis</i>	მცირე ტყის თაგვი		LC	ბერნის კონვენცია
18	<i>Apodemus fulvipectus</i>	კავკასიური ტყის თაგვი		LC	ბერნის კონვენცია
19	<i>Mus musculus</i>	სახლის თაგვი		LC	
20	<i>Apodemus mytacinus</i>	მცირეაზიული თაგვი		LC	ბერნის კონვენცია
21	<i>Eptesicus serotinus</i>	მეგვიანე ღამურა		LC	ბონის კონვენცია;

22	<i>Myotis blythi</i>	წვეტყურა მღამიობი		LC	ბონის კონვენცია;ნაწილობრივ ბერნის კონვენცია;კონვენცია ჰაბიტატების დირექტივა - დანართი IV
23	<i>Myotis mystacinus</i>	ულვაშა მღამიობი		LC	ბონის კონვენცია;ნაწილობრივ ბერნის კონვენცია;კონვენცია ჰაბიტატების დირექტივა - დანართი IV
24	<i>Myotis nattereri</i>	ნატერერის მღამიობი		LC	
25	<i>Rhinolophus ferrumequinum</i>	დიდი ცხვირნალა		LC	ბონის კონვენცია;ნაწილობრივ ბერნის კონვენცია;კონვენცია ჰაბიტატების დირექტივა - დანართი II -IV
26	<i>Rhinolophus hipposideos</i>	მცირე ცხვირნალა		LC	ბონის კონვენცია;ნაწილობრივ ბერნის კონვენცია;კონვენცია ჰაბიტატების დირექტივა - დანართი IV
27	<i>Nictalus noctula</i>	წითური მეღამურა		LC	
28	<i>Plecotus auritus</i>	რუხი ყურა		LC	ბონის კონვენცია;ნაწილობრივ ბერნის კონვენცია;კონვენცია ჰაბიტატების დირექტივა - დანართი IV
29	<i>Vesptilo murinus</i>	ჩვეულებრივი ღამურა		LC	ბონის კონვენცია;ნაწილობრივ ბერნის კონვენცია;კონვენცია ჰაბიტატების დირექტივა - დანართი IV

იმ ფრინველთა სია, რომლებიც წელიწადის სხვადასხვა დროს შესაძლოა ხვდებოდნენ სანაყაროს საპროექტო ტერიტორიის განთავსების რეგიონში, ნაჩვენებია ცხრილში N 12.

ცხრილი 12:

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	წითელი ნუსხა	IUCN	დაცვის სხვა საფუძველი
1	<i>Pernis apivorus</i>	ირაო		LC	
2	<i>Milvua migrans</i>	ძერა		LC	ბონის და ბერნის კონვენცია
3	<i>Accipiter nisus</i>	მიმინო		LC	
4	<i>Buteo buteo vulpinus</i>	ჩვეულებრივი კაკაჩა		LC	
5	<i>Aquila pennata</i>	ჩია არწივი		LC	ბერნის კონვენცია
6	<i>Falco tinnunculus</i>	ჩვეულებრივი კირვიტა		LC	
7	<i>Charadrius dubius</i>	მცირე წინტალა		LC	ბონის და ბერნის კონვენცია
8	<i>Charadrius dubius</i>	მებორნე		LC	
9	<i>Scolopax rusticola</i>	ტყის ქათამი		LC	
10	<i>Columba palumbus</i>	ქედანი		LC	
11	<i>Cuculus optatus</i>	გუგული		LC	
12	<i>Garrulus glandarius</i>	ჩხივვი		LC	
13	<i>Otus scops</i>	წყრომი		LC	

14	<i>Strix aluco</i>	ტყის ბუ		LC	
15	<i>Upupa epops</i>	ოფოფი		LC	
16	<i>Merops apiaster</i>	კვირიონი		LC	
17	<i>Dendrocopos major</i>	დიდი ჭრელი კოდალა		LC	ბერნის კონვენცია
18	<i>Jynx torquilla</i>	მაქცია		LC	
19	<i>Lullula arborea</i>	ტყის ტოროლა		LC	
20	<i>Hyrundo rustica</i>	სოფლის მერცხალი		LC	
21	<i>Motacilla alba</i>	თეთრი ბოლოქანქარა		LC	
22	<i>Charadrius dubius</i>	ბზეწვია		LC	
23	<i>Cinclus cinclus</i>	წყლის შაშვი		LC	ბერნის კონვენცია
24	<i>Troglodites troglodites</i>	ჭინჭრაქა(ლობემბვრალა)		LC	
25	<i>Prunella modularis</i>	ტყის ჭვინტაკა		LC	
26	<i>Erythacus rubecula</i>	გულწითელა		LC	
27	<i>Phoenicurus</i>	ჩვეულებრივი ბოლოცეცხლა		LC	
28	<i>Saxicola rubetra</i>	მდელოს ოვსაძი		LC	
29	<i>Turdus merula</i>	შავი შაშვი		LC	
30	<i>Turdus philomelos</i>	წრიპა		LC	
31	<i>Turdus viscivorus</i>	ჩხართვი		LC	
32	<i>Sylvia atricapilla</i>	შავთავა ასპუჭაკა		LC	
33	<i>Sylvia communis</i>	თეთრყელა ასპუჭაკა		LC	
34	<i>Luscinia megarhinchos</i>	ბულბული		LC	
35	<i>Phylloscopus collybita</i>	ჩვეულებრივი ყარანა		LC	
36	<i>Phylloscopus trochilus</i>	გაზაფხულა ყარანა		LC	
37	<i>Muscicapa striata</i>	რუხი მემატლია		LC	
38	<i>Aegithalos caudatus</i>	თოხიტარა		LC	
39	<i>Parus major</i>	დიდი წივწივა		LC	
40	<i>Cyanistes caeruleus</i>	ლუტჯი წივწივა (წიწვანა)		LC	
41	<i>Sitta europaea</i>	ხის ცოცია		LC	
42	<i>Carthia familiaris</i>	მგლინავა		LC	
43	<i>Lanius collurio</i>	ჩვეულებრივი ღაულ		LC	ბერნის კონვენცია
44	<i>Corvus corax</i>	ყორანი		LC	
45	<i>Fringilla coelebs</i>	სკვინჩა		LC	ბერნის კონვენცია
46	<i>Chloris Chloris</i>	მწვანულა		LC	
47	<i>Carduelis carduelis</i>	ჩიტბატონა		LC	
48	<i>Spinus spinus</i>	ჭივჭავი		LC	
49	<i>Pyrrhula pyrrhula</i>	სტვენია		LC	
50	<i>Coccithaustes</i>	კულუმბური		LC	
51	<i>Emberiza cia</i>	მთის გრატა		LC	

რეპტილიები და ამფიბიები, რომლებიც ლიტერატურის მიხედვით, შესაძლებელია, რომ გვხვდებოდნენ საკვლევი ტერიტორიის განთავსების რეგიონში, ნაჩვენებია ცხრილში N 13.

ცხრილი 13:

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	წითელი ნუსხა	IUCN	დაცვის სხვა საფუძველი
1	<i>Hyla arborea</i>	ვასაკა		LC	
2	<i>Peiedytes caucasicus</i>	კავკასიური ჯვარულა		LC	ბერნის კონვენცია
3	<i>Rana macrocnemis</i>	მცირეაზიური ბაყაყი		LC	
4	<i>Pelophylax ridibundus</i>	ტბორის ბაყაყი		LC	
5	<i>Bufo viridis</i>	მწვანე გომბეშო		LC	
6	<i>Bufo verrucosissimus</i>	კავკასიური გომბეშო		LC	ბერნის კონვენცია
7	<i>Triturus vittatus</i>	მცირეაზიური ტრიტონი	NT	LC	ბერნის კონვენცია
8	<i>Anguis fragilis</i>	ბოხმექა		LC	
9	<i>Lacerta agilis</i>	მარდი ხვლიკი		LC	
10	<i>Darevskia parvula</i>	წითელმუცელა ხვლიკი		LC	ბერნის კონვენცია
12	<i>Darevskia derjugini</i>	ართვინული ხვლიკი		LC	ბერნის კონვენცია
13	<i>Natrix natrix</i>	ჩვეულებრივი ანკარა		LC	
14	<i>Natrix tessellata</i>	წყლის ანკარა		LC	
15	<i>Coronella austriaca</i>	სპილენძა		LC	ბერნის კონვენცია

საველე კვლევის შედეგები

სანაყაროს საპროექტო ტერიტორიის ტრანსექტული კვლევის შედეგად, ნანახი იქნა მგლის, ტურის, მელის, კვერნის, მაჩვის კვლები და ექსკრემენტები. თუმცა, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა მათი საბუნაგე ადგილები. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან საკვლევი ტერიტორია დასახლებულ პუნქტთან შედარებით ახლოს მდებარეობს. ღელის ნაპირს მიუკვება საფეხმავლო ბილიკი, რომელიც აქტიურად იყო ათვისებული ადამიანებისა და შინაური მსხვილფეხა პირუტყვის მიერ. შესაბამისად, ამგვარი ადგილი საფრთხის შემცველია მსხვილი ძუძუმწოვრებისთვის, რომლებიც ასეთ ტერიტორიებს ძირითადად დამით გადადგილებისათვის იყენებენ.

ღელის ნაპირებზე განლაგებულია პატარა მდელოები. დათვალიერების შედეგად, ნანახი იქნა მცირე ზომის სოროები, რომლებიც მიუთითებს ამ ტერიტორიაზე მემინდვრიების ბინადრობაზე. ასევე, ნანახი იქნა ხელფრთიანების წარმომადგენელი, ამ ადგილებისთვის დამახასიათებელი - წითური მეღამურა(*Nictalus noctula*). (იხ. თანდართული ფოტომასალა).

ნახაზი 9:

საკვლევ ტერიტორიაზე ნანახი ღამურა (<i>Nictalus nictula</i> - წითური მეღამურა)	
--	--

ტურის (<i>Canis aureus</i>) ექსკრემენტი	რუხი მგლის (<i>Canis lupus</i>) კვალი
---	---

<p>დელიის (<i>Vulpes vulpes</i>) კვალი</p>	<p>მაჩვის (<i>Meles meles</i>) კვალი</p>
	
<p>კლდის (ქვის) (<i>Martes foina</i>) კვერნის ექსკრემენტი</p>	<p>დედოფალა (სინდიოფალა) (<i>Mistela nivalis</i>) ექსკრემენტი</p>
	

ბუჩქნარის მემინდვრიას (Terricola majori) სორო	ბუჩქნარის მემინდვრიას (Terricola majori) სოროები
	

საველე კვლევის შედეგად ნანახი ძუბუმწოვრები (ან მათი არსებობის დამადასტურებელი ნიშნები) მოცემულია ცხრილში N 14.

ცხრილი 14:

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	წითელი ნუსხა	IUCN	დაცვის სხვა საფუძველი
1	Canis lupus	რუხი მგელი			CITES კონვენციის დანართი II;
2	Canis aureus	ტურა		LC	
3	Vulpes vulpes	მელა		LC	
4	Martes foina	კლდის(ქვის) კვერნა		LC	ბერნის კონვენციის დანართი- III; ჰაბიტატების კონვენციის დანართი V
5	Meles meles	მაჩვი			ბერნის კონვენციის დანართი- III
6	Mustela nivalis	დედოფალა		LC	ბერნის კონვენციის დანართი- III;
7	Terricola majori	ბუჩქნარის მემინდვრია		LC	
8	Nictalus noctula	წითური მეღამურა		LC	

საველე კვლევის შედეგად ნანახი ფრინველები (ან მათი არსებობის დამადასტურებელი ნიშნები) მოცემულია ცხრილში N 15.

ცხრილი 15:

N	ლათინური დასახელება	ქართული დასახელება	წითელი ნუსხა	IUCN	დაცვის სხვა საფუძველი
1	Buteo buteo vulpinus	ჩვეულებრივი კაკაჩა			
2	Garrulus glandarius	ჩხივვი			
3	Motacilla alba	თეთრი ბოლოქანქარა			

4	<i>Cinclus cinclus</i>	წყლის შაშვი			ბერნის კონვენცია
5	<i>Troglodites troglodites</i>	ჭინჭრაქა(ღობემძვრალა)			
6	<i>Prunella modularis</i>	ტყის ჭვინტაკა			
7	<i>Erithacus rubecula</i>	გულწითელა			
8	<i>Turdus merula</i>	შავი შაშვი			
9	<i>Turdus viscivorus</i>	ჩხართვი			
10	<i>Aegithalos caudatus</i>	თოხიტარა			
11	<i>Parus major</i>	დიდი წივწივა			
12	<i>Cyanistes caeruleus</i>	ლურჯი წივწივა(წიწკანა)			
13	<i>Carthia familiaris</i>	მგლინავა			
14	<i>Fringilla coelebs</i>	სკვინჩა			ბერნის კონვენცია
15	<i>Chloris Chloris</i>	მწვანულა			
16	<i>Spinus spinus</i>	ჭივჭავი			

ნახაზი 10: საკვლევ ტერიტორიაზე ნანახი ფრინველების ფოტომასალა



გულწითელა - *Erithacus rubecula*



ჟივევი - *Spinus spinus*



კოორდინატები სადაც დაფიქსირდა ცხოველები ან მათი ცხოველქმედების რაიმე ნიშანი დატანილია რუკაზე და მინიჭებული აქვს ნომერი. (ი. ნახაზი N11) ამ ნომრებზე განმარტებები თუ რა სახეობები და რა ნიშნები იქნა ნახაზი განმარტებულია ცხრილში N 16.

ნახაზი 11:



ცხრილი 16:

კოორდინატის ნომერი	სახეობები რომელიც კონკრეტულ კოორდინატებზე იქნა ნანახი
100	სკვინჩა - <i>Fringilla coelebs</i> ----- 8 ინდ. დიდი წიგწივა - <i>Parus major</i> ----- 6 ინდ. ტყის ჭვინტაკა - <i>Prunella modularis</i> ----- 3 ინდ.
101	ტურა - <i>Canis aureus</i> ----- კვალი თოხიტარა - <i>Aegithalos caudatus</i> ----- 2 ინდ. გულწითელა - <i>Erithacus rubecula</i> ----- 1 ინდ.
102	ვერნა - <i>Marts foina</i> ----- ექსკრემენტი შავი შაშვი - <i>Turdus merula</i> ----- 1 ინდ. ჩხიკვი - <i>Garrulus glandarius</i> ----- 3 ინდ. სკვინჩა - <i>Fringilla coelebs</i> ----- 24 ინდ.
103	ტურა - <i>Canis aureus</i> ----- ექსკრემენტი ჩხართვი - <i>Turdus viscivorus</i> ----- 1 ინდ.
104	ჩვეულებრივი კაკაჩა - <i>Buteo buteo vulpinus</i> ----- 2 ინდ. წითური მეღამურა
105	წყლის შაშვი - <i>Cinclus cinclus</i> ----- 2 ინდ.
106	სისკინი - <i>Spinus spinus</i> ----- 1 ინდ. სკვინჩა - <i>Fringilla coelebs</i> ----- 2
107	მგლინავა - <i>Carthia familiaris</i> ; ----- 1 ინდ. თოხიტარა - <i>Aegithalos caudatus</i> -----
108	ლურჯი წიგწივა - <i>Cyanistes caeruleus</i> ----- 2
109	მაჩვი - <i>Meles meles</i> ----- კვალი მწვანულა - <i>Chloris Chloris</i> -----
110	ტურის - <i>Canis aureus</i> ----- ექსკრემენტი
111	მბუჩქნარის მემინდვრია - <i>Terricola majori</i> ----- სოროები დედოფალა -
112	ბუჩქნარის მემინდვრია - <i>Terricola majori</i> ----- სოროები
113	ბუჩქნარის მემინდვრია - <i>Terricola majori</i> ----- სოროები თეთრი

დასგნა და რეკომენდაციები

საპროექტო ტერიტორიაზე, რომელიც შერჩეულია გამომუშავებული ფუჭი ქანების სანაყაროს მოსაწყობად საველე კვლევის დროს ნანახი ფრინველების უმრავლესობა იყო ბედურასებრთა ოჯახის წარმომადგენლები (სკვინჩა - *Fringilla coelebs*, წიგწივა - *Parus major*) აღნიშნულ ტერიტორიაზე არც ლიტერატურის მიხედვით, და არც საველე კვლევის შედეგად არ ფიქსირდება წითელი ნუსხის სახეობები.

ჯამში ნანახი იქნა 16 სახეობის 74 ფრინველი, მათ შორის წყლის შაშვისა და წვეულებრივი კაკაჩას წყვილი. მთლიანი ტერიტორიის და მასზე არსებული მდელოების მცირე ზომიდან გამომდინარე ხეობის ეს მონაკვეთი ვერ იქნება მნიშვნელოვანი მიგრატორი მტაცებელი ფრინველებისათვის.

ტერიტორიაზე არ არის გუბურები რაც მნიშვნელოვანია ამფიბიების გასამრავლებლად. ვინაიდან ამფიბიების უმრავლესობა ქვირითის დასაყრელად იყენებენ დამდგარ ან მდორე წულებს (გუბურები, ტბები, ჭაობები). ადგილიდან გამომდინარე არ ცხოვრობენ ტრიტონები და ადგილობრივთა გამოკითხვით მსგავსი ამფიბიები არასდროს უნახავთ ამ დელეში. ძირითადად ბინადრობენ ტბორის ბაყაყები.

სანაყაროს საპროექტო ტერიტორიაზე დაფიქსირდა მტაცებელ ძუძუმწოვართა საშუალო აქტივობა. კვლევის შედეგად, ნანახი იქნა მგლის, ტურის, მელის, კვერნის, მაჩვის კვლები და ექსკრემენტები. თუმცა, აღნიშნულ ტერიტორიაზე არ დაფიქსირებულა მათი საბუნაგე ადგილები. ეს მოსალოდნელიც იყო, რადგან საკვლევი ტერიტორია

დასახლებულ პუნქტთან ახლოს მდებარეობს. ღელის ნაპირს მიუყვება საფეხმავლო ბილიკი, რომელიც აქტიურად იყო ათვისებული ადამიანებისა და შინაური მსხვილფეხა პირუტყვის მიერ. შესაბამისად, ამგვარი ადგილი საფრთხის შემცველია მტაცებლებისთვის, რომლებიც ასეთ ტერიტორიებს ძირითადად დამით გადადილებისათვის იყენებენ.

უნდა აღინიშოს, რომ ფრინველების უმრავლეობა ბუდობას იწყებს გაზაფხულზე და ასრულებს ზაფხულის ბოლოს. შესაბამისად, სამუშაოები უნდა განხორციელდეს ან ადრე გაზაფხულის პერიოდში (აპრილის დასაწყისი) ან აგვისტოს თვიდან.

შემარბილებელი ღონისძიების სახით მიზანშეწონილია განთავსდეს რამოდენიმე ხელოვნური ბუდე/თავშესაფარი დამურებისათვის საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ. ასევე კარგი იქნება ხელოვნური ბუდეები ფრინველებისთვისაც რომ სამუშაოების დასრულების შემდეგ მაღლევ მოხდეს აღნიშნული ადგილის რეაბილიტაცია.

საკალევი ტერიტორიის ზომიდან გამომდინარე, რეკომენდაციების გათვალისწინების შემთხვევაში მობინადრე ცხოველებისადმი მიყენებული ზიანი მინიმუმამდე იქნება შემცირებული.

გამოყენებული ლიტერატურა

რევაზ ქორდანია. „ხერხემლიანთა ზოოლოგია“. 1997 წ.

Collins field guide. „Mammals Of Britain & Europe“. 1993 წ.

მირონ კუტუბიძე. „საართველოს ფრინველების სარკვევი“. 1985 წ.

ალექსანდრე აბულაძე. „საქართველოს მტაცებელი ფრინველები“ 2013 წ.

რაფაელ ანტონიო გალვეზი, ლექსო გავაშელიშვილი, ზურა ჯავახიშვილი. „საქართველოს მტაცებელი ფრინველები და ბუქები“ 2005 წ.

Lars Svensson. „Birds Of Europe“ 2009 წ.

Darevsky, I. S. "Protection of amphibians and reptiles in reserves of the Caucasus." Amphibii i Reptili Zapovednykh Territoriy [Amphibians and Reptiles of Protected Territories], Moscow (1987): 85-101.

Tarkhnishvili D.N., Kandaurov A.S. Bukhnikashvili A.K. Declines of amphibians and reptiles in Georgia during the 20-th Century: virtual vs. actual problems. Zeitschrift fur Feldherpetologie, 2002, 9, p. 1-19 (in press).

<http://biodiversity-georgia.net/>

<http://www.iucnredlist.org/>

<https://www.coe.int/en/web/bern-convention>

გამონამუშევარი ფუჭი ქანების სანაყაროს მოწყობის პროექტის განხორციელების შედეგად გამოწვეული წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე ზემოქმედების შეფასება

წინამდებარე პროექტის განხორციელების შედეგად გამოწვეული წყლისა და წყალზე დამოკიდებულ სახეობებზე ზემოქმედების შეფასების საჭიროება განაპირობა მშენებარე გვირაბებიდან გამოტანილი ფუჭი ქანების განსათავსებლად №11 სანაყაროს მოსაწყობად სოფელ ვერტყვიჭალას მიმდებარედ, უსახელო მდინარის/ღელეს მიერ გამომუშავებული ხეობის, 700 მეტრამდე სიგრძის დაუსახლებელი უბინის შერჩევამ.

აღნიშნული სანაყაროს მოწყობის მთავარ ზემოქმედებას წარმოადგენს სანაყაროს განთავსების ადგილზე გამდინარე ხევის წყლის ნაკადის მოცილება. სანაყაროს მოწყობის ადგილიდან წყლის ნაკადის მოსაცილებლად, საჭიროდ ჩაითვალა საკმაოდ დიდი განივი კვეთის მქონე წყალგამყვანი არხის მოწყობა.

ზოგადად, პიდროტექნიკური ტიპის მშენებლობები უარყოფით ზემოქმედებას ახდენენ წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე (მათ შორის თევზის რესურსების მდგომარეობაზე). აღნიშნულიდან გამომდინარე, პიდრონაგებლობების როგორც მშენებლობის დაგეგმვის პროცესში, ასევე მისი ექსპლუატაციაში შემდგომ ფუნქციონირების პროცესში აუცილებელი ხდება:

- პიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის და ექსპლუატაციის პერიოდში წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე შესაძლო ზემოქმედების პროგნოზირება;
- პიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობის და ფუნქციონირების პროცესში წყლის ბიოლოგიურ რესურსებზე ნებატიური ზემოქმედების შესამცირებლად და ზარალის კომპენსირებისათვის სამოქმედო გეგმის შემუშავება;

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის განხორციელებისათვის აუცილებელი ხდება წყლის ბიორესურსების არსებული სტატუსის შესწავლა, რაც გულისხმობს:

- ინფორმაციის შეგროვებას აღნიშნულ უსახელო მდინარეში მობინადრე თევზების სახეობრივ შემადგენლობაზე;
- ინფორმაციის შეგროვებას წყალსატევის ბიოლოგიურ პროდუქტიულობაზე;

პიდროტექნიკური ნაგებობების შესაძლო ზემოქმედების წინასწარი პროგნოზირება საშუალებას მოგვცემს განსაზღვროთ ბიორესურსებზე მოსალოდნელი ნებატიური ზემოქმედება.

ინფორმაციის შეგროვებას უსახელო მდინარეში მობინადრე თევზების სახეობრივ შემადგენლობაზე გულისხმობს:

- სატოფე ადგილების მდებარეობის დადგენას, თევზების სახეობრივი შემადგენლობის, ტოფობის ვადების და პროდუქტიულობის მითითებით;
- თევზის სახეობების მოზარდებულის თავშეყრის ადგილების, მათი საზღვრების და ფართობების დადგენას, ლიფსიტების გამოჩეკვის და ეტაპობრივი განვითარების პერიოდების მითითებით;
- გამოსაზამთრებელი ორმოების მდებარეობის, მათი ფართობების და საზღვრების დადგენას (თუ კი ისინი ფიქსირდება), გამოსაზამთრებლად თევზების სახეობრივი შემადგენლობის, თევზების გამოსაზამთრებელ ორმოებში „ჩაწოლის“ სიმჰიდროვის მითითებით;

ზემოაღნიშნული მონაცემები ერთობლიობაში წარმოადგენენ წყალსატევის თვეზესამეურნეო დახსასიათებას.

პიდროტექნიკური ნაგებობის დაგეგმილი მშენებლობის და შემდგომი ექსპლუატაციის ნებატიური ზემოქმედების შესამცირებლად განისაზღვრება თითოეული ნებატიური ფატორის გავლენის დონე და ხასიათი, რესურსის ამჟამინდელი მდგომარეობის გათვალისწინებით; ყოველივე ამის საფუძველზე დადგინდება გასატარებლად აუცილებელი თევზდაცვითი და/ან რესურსის ადგანენითი ღონისძიებების ჩამონათვალი და მოცულობა, დაწყებისა და დასრულების გაწერილი კალენდარული გეგმით;

იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელი იქნება რესურსზე ნებატიური ზემოქმედების თავიდან აცილება, შემუშავდება თევზსამეურნეო - ბიოლოგიური დასაბუთება ზარალის ოდენობის განსაზღვრით და საკომპენსაციო ღონისძიებების შემუშავებით.

საკომპენსაციო ღონისძიებებს შორის პირველი რიგის განსახილველ ღონისძიებებს მიეკუთვნება:

- წინადადებები წყალსატევის აკვატორიაში სამშენებლო სამუშაოების ორგანიზების და ვადების შესახებ, გამომდინარე თევზის რესურსების შენარჩუნების და ბუნებრივი აღწარმოების პირობების დაცვის აუცილებლობიდან;
- პიდროტექნიკური ნაგებობის მშენებლობისას და მისი ექსპლუატაციის პროცესში თევზის რესურსებისათვის მიყენებული შესაძლო ზარალის გაანგარიშება;

- თევზის რესურსის აღწარმოების ბუნებრივი პირობებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად მიმართული საკომპენსაციო დონისძიებების ჩამონათვალი;

გასატარებელი დონისძიებების უმეტესობა შემუშავებული იქნება ჩატარებული სავალე კვლევების შედეგების ანალიზის შემდგომ. დასახული ამოცანის გადასაჭრელად კვლევები განხორციელდა ორ ეტაპად. კერძოდ: პირველი ეტაპი ითვალისწინებდა კამერალურ კვლევებს, ხოლო შემდგომ ეტაპისათვის დაიგეგმა სავალე კვლევები.

1. კამერალური კვლევები:

არსებული ლიტერატურული მასალების გაცნობა და მათ საფუძველზე ზემოქმედების არეალის დათვალიერების გეგმის შემუშავება. მიღებული ინფორმაციის შესაბამისად შემდგომი სამუშაოების დაგეგმვა. ადგილობრივი მეთვალეების გამოკითხვისათვის კითხვარის მომზადება.

2. სავალე კვლევები:

შემუშავებული გეგმის შესაბამისად, ზემოქმედების შემდგომი შეფასების მიზნით, თევზის და თევზის საარსებო გარემოს შესახებ ველზე მონაცემების შეგროვება და მათი შემდგომი ანალიზი.

ნაწილი 1. მშენებლობის არეალში ფონური მდგომარეობის შესახებ არსებული ინფორმაციის შეგროვება და მისი ანალიზი

იქტიოფაუნა:

პროექტის ზემოქმედების არეალში მოქცეული უსახელო მდინარის კალაპოტი წარმოადგენს ბენთოსითა და წყალმცენარეებით მკვებავი თევზების გავრცელების უბანს (ე.წ. წვერას უბანს). უსახელო მდინარე ხასიათდება ქვა-ქვიშიანი ფსკერით. მისი ქვედა ნაწილი ატარებს შერეულ ხასიათს. სახელდობრ, ქვა-ქვიშიან ფსკერთან ერთად გვხვდება მოსილული ფსკერიც, ოდონდ მცირე ფართობით. უსახელო მდინარის იქტიოფაუნის სახეობრივი შემადგენლობა კამერალური (ლიტერატურული) მონაცემების შესაბამისად უნდა იყვას უფრო დარიბი, ვიდრე ძირითად მდინარის (მდინარე ძირულა) იქტიოფაუნა. აქ მაღალი წყლის ნაკადების (წყალდიდობების) პერიოდში შესაძლებელია მდინარე ძირულადან შემოღიოდეს თევზების შემდეგი სახეობები:

- კავკასიური ქაშაპი (*Leuciscus cephalus orientalis*);
- კოლხური წვერა (*Barbus tauricus escherichii*);
- ჩვეულებრივი /ამიერკავკასიული გველანა (*Gobitis taenia*);
- კავკასიური მდინარის ლორჯო (*Neogobius cephalarges constructor*);

წყალმცენარეებიდან შეიძლება გვხვდებოდეს შემდეგი ფორმები:

- *Cladophora* sp.;
- *Ceratoneis arcus*;
- *Cymbella affinis*;
- *Diatoma vulgare*;

- *Cymbella ventricosa*;
- *Enteromorpha prolifera*;
- *Ulotrix zonata*;

ხოლო ზოობენთოსიდან შესაძლებელია გვხვდებოდეს შემდეგი ფორმები:

- Iron sp.;
- Heptagenia sp.;
- Hydropsyche sp.;
- Perla sp.;
- Baetis sp.;
- Rhuhrogena sp.;
- Oligoneuria sp.;
- Chironomidae;
- Simuliidae;
- Rhyacophilas sp.;
- Ecdionurus sp.;
- Gammaridae;
- Coleoptera;

კვლევის არეალში არსებული თევზების სახეობების შესახებ კამერალური კვლევებისას მოპოვებული ლიტერატურული მონაცემების გადამოწმების მიზნით, საველ კვლევის პერიოდში ჩატარდა თევზების საკონტროლო ჭერა, სამოყვარულო და სპორტული თერვზჭერის სახით. საკონტროლო ჭერებისას ძირითადად გამოყენებულ იქნა სასროლი ბადე და ანკესი. კვლევის არეალში არსებული თევზების სახეობების იდენტიფიკაციისათვის გამოყენებულ იქნა სპეციალიზირებული განმსაზღვრელი ლიტერატურა.

საველ კვლევების მსვლელობისას, საკონტროლო ჭერების პერიოდში თევზი დაფიქსირებული არ იქნა, თუმცა ადგილობრივ მოსახლეობასთან გასაუბრებისას დადასტურდა წყალდიდობების პერიოდში უსახელო მდინარეში თევზების შემდეგი სახეობების შემოსვლის ერთეული შემთხვევები:

1. ქაშაპი (*Leuciscus cephalus orientalis*) :

ოჯახი - კობრისებრნი რიგი - კობრისნაირნი მაქსიმალური ზომა - 45-სმ-მდე
გარემო - ზოოპლანქტონი, ზოობენთოსი, მცავებელი სქესმწიფობა - 2-3 წელი
ტოფობა - აპრილიდან ივლისამდე. მდინარე, შენაკადი. სუბსტრატი - ლითოფილი. ქვა-
ქვიშიანი ადგილები საცხოვრისი - მტკნარი წყლის სისტემები. რეო-ლიმნოფილი
საფრთხის კატეგორია - დაბალი რისკის ქვეშ მყოფი /LR/ იცავს ბერნის კონვენცია

გავრცელება - საქართველოში: მტკნარი წყლების ევრობიონტია. გვხვდება ყველა
მდინარესა და მათთან დაკავშირებულ წყალსატევებში. სხვაგან: ჩრდილო კავკასიაში,
ამიერკავკასიაში, ტიგრის და ევფრატის ზემო დინებაში, თერგის, უბანის, უმის
აუზებში, დაღესტნის ყველა მდინარეში, აზერბაიჯანის მდინარეებში.

ინფორმაცია საქართველოში ამ სახეობის შესახებ: სტატუსი - ადგილობრივი,
აბორიგენი, ავთოქტონი ჰაბიტატი - მტკნარი წყლის სისტემები. რეო-ლიმნოფილი
რეგულირება - ბუნებრივი
რიცხოვნობა - საშუალო. მდინარეთა დარეგულირებამ ხელი შეუწყო
რიცხოვნობის შემცირებას
გამოყენება - იჭერებ სხვა თევზებთან ერთად. იყენებენ ნედლი სახით

2. კოლხური წვერი (*Barbus tauricus escherichii*):

ოჯახი - კობრისებრნი რიგი - კობრისნაირნი მაქსიმალური ზომა - 13 სმ-მდე
გარემო - ზოოპლანქტონი, ზოობენთოსი, წყალმცენარეები სქესმწიფობა - 2-3 წელი
ტოფობა - აპრილი-აგვისტოს ბოლომდე. მდინარე, შენაკადი სუბსტრატი - ლითოფილი.
ქვა-ქვიშიანი

საცხოვრისი - წყალსადინრები და მათთან დაკავშირებული წყალსატევები საფრთხის
კატეგორია - საფრთხის ქვეშ მყოფი /LR/
გავრცელება - საქართველოში: მტკნარი წყლების ევრიბიონტია. გვხვდება ყველა
მდინარესა

და მათთან დაკავშირებულ წყალსატევებში. სხვაგან: ჩრდილო კავკასიაში,
ამიერკავკასიაში, ტიგრის და ევფრატის ზემო დინებაში, თერგის, უბანის, უმის
აუზებში, დაღესტნის ყველა მდინარეში, აზერბაიჯანის მდინარეებში.

ინფორმაცია საქართველოში ამ სახეობის შესახებ:

სტატუსი - ადგილობრივი, აბორიგენი, ავთოქტონი. იცავს ბერნის კონვენცია, დასავლეთ
საქართველოს ენდემია

ჰაბიტატი - მტკნარი წყლის სისტემები. რეო-ლიმნოფილი რეგულირება - ბუნებრივი

რიცხოვნობა - შედარებით მრავალრიცხოვანი

გამოყენება - ადგილობრივი, ჯუჯა ეგზოტიკური თევზი

როგორც ცნობილია, მთიანი რაიონების ყველა ფიზიკურ-გეოგრაფიული მაჩვენებელი
განპირობებულია მაღლივი ზონალურობით. ეს ზონალურობა მნიშვნელოვნათ როგორც
დასადგენია ჰიდრობიოლოგიურ მასალებზე დაყრდნობით. მირითადი სირთულე
მდგომარეობს თავად მთიანი ტერიტორიების ფიზიკურ - გეოგრაფიულ მახასიათებლების
ობიექტურ თავისებურებებში. ზონები მთაში საკმაოდ ვიწრო და მჭიდროდ შეკრულია
ვერტიკალური პროფილის მიხედვით. ასეთ პირობებში ჰიდრობიონტებს, რადგან
ისინი ფლობენ ეკოლოგიური ამპლიტუდის გარკვეულ რეზერვს, შეუძლიათ
გარკვეული რაოდენობით გადაჭრან ზონა და მოხვდნენ მაღალმთიან რაიონებიდან
მთისწინა რაიონებშიც კი. ამას ასევე ხელს უწყობს, როგორც წყლის ნაკადების
მაღალი დინამიკა, ასევე წყლის გარემოს მაღალი კონსერვატიზმი.

მაგალითად, მძლავრი ნაკადი, ჭრის რა მაგალითად სუბალკურ ზონასა და წიწვოვანი
ტყების ზონას შორის საზღვარს, დინების გარკვეულ ინტერვალზე მაინც ინარჩუნებს

სუბალპური ზონის წყლის ნაკადის მაჩვენებლებს (მაგალითად ტემპერატურას, დინების სისწრაფეს და დეტრიტული კვების პირობებს). აქედან გამომდინარე, მაღალმთიანი ზონების ერთ- მეორესთან სიახლოვე და სიმჭიდროვე, ასევე წყლის ნაკადის დინამიკა, გარკვეულ მანძილზე მისი ფიზიკურ - ქიმიური ინერტულობა, და ყოველივე ამის პარალელურად პიდრობიონტების გარკვეული ეპოლოგიური პლასტიკურობა, იწვევს ბიოტური თვალსაზრისით სხვადასხვა ეპოლოგიური ზონების წარმომადგენლების ფაუნისტურ აღრევას.

კავკასიის მთის მდინარეები გამოირჩევიან შენაკადების სიმრავლით, რომლებიც იმავდროულად ხასიათდებიან შედარებითი წყლმწირეობით. უმეტეს მცირე შენაკადზე წყლის ნაკადი არ ადგმატება რამოდენიმე კუბურ მეტრს. მდინარეების აღნიშნული მცირე წყალხარჯიანობის პირობებში მძლავრ წყალმოვარდნებს შეიძლება პიდრობიონტებისათვის ჰქონდეთ დიდი მნიშვნელობა. მაგალითად, წყალმცირე შენაკადების კალაპოტების ფართობები შეიძლება ხელმისაწვდომი გახდეს ძირითადი მდინარის იქტიოფაუნის წარმომადგენლებისათვის წყალდიდობების პერიოდში. შესაბამისად მათვის გაიზარდოს ტოფობისა ან საკვები აღგილების ფართობები. ამიტომ, პიდრობიონტთა სიცოცხლისათვის, ასეთი წყალმოვარდნები თავისი მნიშვნელობით შეიძლება ატარებდეს მნიშვნელოვან ხასიათს.

შესაბამისად, შეიძლება გამოიყოს ფაქტორები, რომლებიც გარკვეულ გავლენას ახდენენ ზემოქმედების ზონაში მოხვედრილ წყლის ნაკადებში მობინადრე პიდრობიონტების რაოდენობრივ მახასიათებლებზე:

- სეზონური ფაქტორი (ნაკადის აბიოტური მდგომარეობის რეგულარული ციკლური ცვლილებები, რომელიც გლინდება უპირველეს ყოვლისა წყლის ოდენობითი და ტემპერატურული რეჟიმების ცვალებადობით);
- ტროპიკული პირობები (ერთი მდინარის სხვადასხვა ზონაში სეზონური ფაქტორის კერძო შემთხვევის გამოვლინება ან გამოყოფა ცალკე ფაქტორად მისი ალბათობისა და განსხვავებულობის გამო);
- ანტროპოგენური ზემოქმედება (ყველაზე მნიშვნელოვნად ის ვლინდება ზემოქმედების ლოკალურ კერებში და წყლის რაოდენობის და ტემპერატურის სეზონური ცვლილებები გავლენას ახდენენ ამ ზემოქმედების მასშტაბებზე).

წყლის ნაკადების ბიოცენოზების ფორმირების ეპოლოგიურ ფაქტორებად შეიძლება ჩაითვალოს წყლის ნაკადის ტიპი - მდინარე, რუ, წყარო (თავის თავად კომპლექსური ფაქტორი, რომელიც ფარული სახით მოიცავს ისეთი ფაქტორების კრებულს, როგორიც არის წყლის ჸიმიზმი, ჟანგბადის რეჟიმი და წყლის ტემპერატურა).

მცირე წყლის ნაკადს შეუძლია სწრაფად შეიცვალოს ტემპერატურა მზის გამოსხივების პირდაპირი ზემოქმედების შედეგად, მაშინ როდესაც უფრო წყალუხვი ნაკადი უფრო ინერტულია მზის სხივებით სწრაფად გათბობის მიმართ.

გარდა ამისა, ფაქტორი „ნაკადის ტიპი“ გარკვეული დონით განსაზღვრავს ორ შემდეგ ფაქტორს:

- დინების სისწრაფე
- სუბსტრატის ხასიათი

ამრიგად, პიდრონაგებობების ზემოქმედების ზონაში პიდრობიონტთა სახეობრივ შემადგენლობაზე გავლენას იქმნიებს რიგი ფაქტორები, რომელთა შორის ყველაზე დიდი მნიშვნელობა უქნება ზემოქმედების შედეგად ჩამოყალიბებულ:

- სუბსტრატის ხასიათს;
- დინების სისწრაფეს;

- კალაპოტის ხასიათს;
- წყლის გამჭვირვალობას;
- წყლის ტემპერატურას;
- წყლის დინების სიმძლავრეს;

როგორც აღვნიშნეთ, ჩატარებული საველე კვლევებისას უსახელო მდინარეში იქტიოფაუნის წარმომადგენლები დაფიქსირებული არ იყვნენ, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვისას დადგინდა უსახელო მდინარეში, წყალდიდობის დროს, ძირითადი მდინარიდან (მდინარე ძირულა) ქაშაპის (*Leuciscus cephalus orientalis*) და კოლხური წვერას

(*Barbus tauricus escherichii*) შემოსვლის ალბათობა. აღნიშნული თევზები წარმოადგენენ ტიპიურ რეოფილურ თევზებს, რომლებიც ყრიან ან მაღავენ ქვირითს წყალსატევის ფსკერზე ქვების ქვეშ. თევზების ამ სახეობისათვის დამახასიათებელია პორციული ტოფობა და მათი მხრიდან ამ ტიპის ტოფობა წარმოადგენს აღაპტაციას მკაცრ პირობებში შთამომავლობის შენარჩუნების აუცილებლობასთან.

ნაწილი 2. საველე კვლევები

საველე კვლევების განხორციელებისას უსახელო მდინარის კალაპოტში არ იქნა დაფიქსირებული თევზის სახეობები. ასევე კალაპოტის დათვალიერებისას არ იქნა გამოვლენილი სატოფე ადგილები.

ადგილობრივი მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ უსახელო მდინარეში წყალდიდობების დროს შეიძლება შევხვდეთ კავკასიური ქაშაპს და კოლხურ წვერას.

№ სამეცნიერო სახელწოდება

ოჯახი, სახეობა)	ქართული სახელწოდება	ინგლისური	სახელწოდება
დაცულობის სტატუსი			

Fam. Cyprinidae	ოჯ. კობრისებრნი	Fam. Carps
1. <i>Squalius cephalus orientalis</i> Nordmann, 1840 კავკასიური ქაშაპი Caucasian Chub		
2. <i>Luciobarbus escherichii</i> (Steindachner, 1897) კოლხური წვერი Colchic Barbel		

ეოველივე ეს მეტყველებს იმაზე, რომ წყალდიდობისას უსახელო მდინარეში ხსენებული სახეობის თევზების შესვლა უკავშირდება იმ გარემოებას, რომ თევზები გაურბიან წყალდიდობებისას ძირითად მდინარეში (მდინარე ძირულაში) წარმოქმნილ წყლის ნაკადის დინების მაღალ სიჩქარეს და წყლის მაღალ სიმდგრივეს.

კავკასიური ქაშაპი:

გავრცელება. ბინადრობს საქართველოს უმეტეს წყალსატევებში.

სხვაგან მოიპოვება სომხეთში, აზერბაიჯანში, ჩრდილოეთ კავკასიაში, კასპის ზღვის ირანის სანაპიროების მდინარეებში, ურმიის ტბის აუზში, ჩრდილო ირანში.

ბიოლოგია. მტკნარი წყლის თევზია. ადვილად ეგუება, როგორც მდინარის, ისე ტბის პირობებს, იტანს წყლის ტემპერატურის დიდ მერყეობას. იკვებება როგორც ცხოველური, ისე მცენარეული საკვებებით: წყლის მწერებითა და მათი მატლებით, თევზებით და მათი ქვირითით, ბაყაყებით, წყალმცენარეებით. ზრდის ტემპი სხვადასხვა წყალსატევში განსხვავებული აქვს, მდინარეში იზრდება ნელა, ტბასა და წყალსაცავში - სწრაფად.

სქესობრივად მწიფდება 2-3 წლის ასაკიდან. მრავლდება მაისიდან აგვისტოს ბოლომდე, წყალსატევის სანაპირო, თხელწყლიან და ქა-ქიშიან ადგილებში. ნაყოფიერება აღწევს,

ხრამის წყალსაცავში 14-121 ათას ქვირითიამდე, ხოლო მდ. ხრამში 4-23 ათასამდე, მისი დიამეტრიც 1.1-1.7 მმ-დეა, იგი ნარინჯისფერია, წებოვანი, ეწებება ქვებზე და სხვა საგნებზე.

კოდსური წვერა:

გავრცელებულია მცირე აზის, შავი ზღვის სანაპირო მდინარეებში მდ. საკარიის აუზამდე.

ბინადრობს დასავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მდინარეში, ტბებსა და წყალსაცავებში. მდინარეში ადის დიდ სიმაღლეებზე - კალმახის საბინადრო უბნების ქვედა საზღვრების ჩათვლით. ამჯობინებს ჩქარ, სუფთა, ქვა-ქვიშიანი ფსკერის მქონე მდინარეებს. მიგრაციას აწარმოებს მცირე მანძილზე, კვებასთან და გამრავლებასთან დაკავშირებით, იზამთრებს მდინარის სანაპიროს მდგიმებრში, ფსკერის ორმოებში.

იკვებება ძირითადათ ბენთონით - მდინარის ფსკერზე არსებული ჭუპრებით, მატლებით, რუისელებით, დღიურებით, ქირონომიდებით, ლოკოგინებით, თევზის ქვირითით, წვრილი თევზებით.

სქესობრივ სიმწიფეს აღწევს 3 – 4 წლის ასაკიდან. მრავლდება ივნისიდან - აგვისტოს ბოლომდე. ქვირითს ყრის მდინარის თხელწყლიან, ქვა-ქვიშიან ადგილებში, წყლის 12 – 18 ს ტემპერატურის დროს, 2 000 – 30 000 ცალამდე. ქვირითის დიამეტრი შეადგენს 2,5 მმ-ს, გამრავლებისას სჭარბობენ მამლები.

ქვირითიდან ლიფსიტები იჩეკებიან ერთი კვირის განმავლობაში.

უხერხემლოების სავალე პლევა

უხერხემლოების ნიმუშების აღება წარმოებდა ეპროპული კავშირის სტანდარტული მეთოდებით (EN ISO 5667-3, ISO 7828, EN ISO 8689) შემუშავებული მთის მდინარეებისათვის, „kick and sweep” (Schmidt-Kloiber, 2006) მეთოდით, რომელიც გულისხმობს ჰიდრობიოლოგიური ჩოგან-ბადით უხერხემლოთა შეგროვებას სანაპირო ზონაში.

ბენთონსური ორგანიზმების მრავალფეროვნება უსახელო მდინარეში და მასში ჩამდინარე წყაროებში გამოირჩევა შედარებით დაბალი ხარისხობრივი მაჩვენებლებით (ოლიგოტროფული ტიპი).

მოპოვებული მასალის კამერალური დამუშავების შედეგად დარეგისტრირებული იქნა მაკროუხერხემლოთა ფორმების 18 ჯგუფი.

მოპოვებულ მასალაში დომინანტურ თრგანიზმებად გვევლინება ტენდისედიასებრნი (ლათ. Tendipedidae, Chironomidae) (32%), შემდეგ მოდიან რუისელები (ლათ. Trichoptera) (23%), ერთდღიურანი (Ephemeroptera) (18,5%), ორფრთიანები (Diptera) (10,5 %), გამარიდები (ლათ. Gammaridae) (9,5%) და სხვა (მეგაზაფხულებები, ნემატოდები, ბეწვერები, მცირეჯაგრიანი ჭიები, ნიუარიანები, ციკლოპები, ობობები, ტკიპები, ჩანგალაუდიანები, ბაღლინჯოები და ხეშეშფრთიანები, ქერცლფრთიანები, მუმლი) (6,5%).

5.6. უსახელო მდინარის კალაპოტში ბიოტოპების კვლევა

ჰიდროლოგიური პირობების მიხედვით საკვლევი მდინარისათვის გამოყოფილი (დადგენილი) იქნა ბიოტოპები, რომლებსაც გააჩნიათ ოევზების სასიცოცხლო ციკლისათვის განსხვავებული მნიშვნელობები. ბიოტოპების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები ფორმირდება მდინარის გეომორფოლოგიით, მიკრორელიეფით და კალაპოტის დახრილობით. ეს ფაქტორები განსაზღვრავენ მდინარის კალაპოტში წყლის სიდრეს, დინების სიჩქარეს და ალუვიალურ დანალექებს ფსკერზე.

მდინარის მუხლი. ოევზებისათვის გააჩნია სატრანზიტო და გამოსაზამთრებელი მნიშვნელობა. განფენილობა 50 მეტრიდან და მეტი. წყლის სიდრმეები 0,3 – 0,8 მეტრი,

დინების სისწრაფე 0,1 – 0,3 მ/წამში, ფსკერი კენჭოვანი, იშვიათად რიყის ქვები და ლოდები.

ჩქერისწინა ბიოტოპი. განფენილობა 20 – 50 მეტრი, იშვიათად 100 მ-დე, წყლის სიღრმე 0,35 – 0,55 მ., დინების სისწრაფე 0,3-0,6 მ/წამში, სწორი რელიეფი ოდნავი ჩაზნექით, ფსკერი კენჭოვანი, წვრილი ლოდების მოზაიკური წინწკლებით. ამგვარ გრუნტზე თევზები ნაწილდებიან შედარებით თანაბრაო, სიმჭიდროვე 10-50 თევზი 100 კვადრატულ მეტრზე.

ნაკადულისებრი შენაკადი. თევზის სეზონური ბინადრობის ბიოტოპი, სიღრმე 0,2 – 0,6 მ., დინების სიჩქარე 0,4 – 1,2 მ/წამში, კენჭოვან - ქვოვანი ფსკერი წვრილი ლოდების ჩანართებით, ამგვარ ბიოტოპში თევზის სიმჭიდროვე შეიძლება იყვანს 15-70 კუნძულარი 100 კვადრატულ მეტრზე.

პიდრონაგებობის მშენებლობის და ფუნქციონირების შესაძლო ზემოქმედება იქტიოფაუნაზე

არხის მშენებლობამ შესაძლებელია დაარღვიოს მდინარის კალაპოტში წყლის ჩამონადენის ბუნებრივად ჩამოყალიბებული გამტარიანობა. თუ კი არხი დროის მოცემულ ერთეულში არ გაატარებს ბუნებრივ წყლის ნაკადს (დაფიქსირდეს ჩამონადენის გამტარიანობის ცვლილებები), ამან შეიძლება გამოიწვიოს თევზის საარსებო პირობების გაუარესება. არხის მშენებლობის არეალი წარმოადგენს ჩქერისწინა ბიოტოპს. შესაბამისად არხის დამგეგმავ ინჟინირებს გადაეცაო რეკომენდაციები წყლის ოპტიმალური სიღრმის და დინების სიჩქარის შესახებ.

კერძოდ, უნდა შენარჩუნებული იყო შემდეგი პირობები:

წყლის სიღრმე 0,35 – 0,55 მ., დინების სისწრაფე 0,3-0,6 მ/წამში, სწორი რელიეფი ოდნავი ჩაზნექით, ფსკერი კენჭოვანი, წვრილი ლოდების მოზაიკური წინწკლებით.

